ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 41 (109) 17 ნოემბერი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## ილია II: ერი, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება, ღვთისგან მუდამ ისჯება...

3



## ლავრენტი ბერია — ქართული გენია

4



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"



## როსის დროული დაბრუნება

12



6

## დაღდასმულთა აბობოქრება საქართველოში



5

## "კოლხები – ქართველების წინაპრები"

ანზორ შონია

## იალტა 2001" — ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების დავიწყებული დღეები

2

ოთარ ფაცაცია: **იურა ხიხინაშვილი მოლვანე და ყოველთვის გამორჩეული პიროვნება იყო, მიხარია, რომ შვილებიც მამას დაემსგავსნენ**

7

## თურქეთის ბაზარზე გაყიდული ქართველები და მონობიდან დახსნილი მეგობარი

7




9

## სამეგრელოს ღირსეული შვილები

10

ბიბლიოთეკა

გაცრეცილი ჩანაწერები

# „იალტა 2001“ — ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების დავიწყებული დღეები



*იმ დღეებს ძალიან დავცილდით, იმ პათოსს, რომელსაც აფხაზებისა და ქართველების შერიგების გზით მივყავდით. ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა ხდებოდა მაშინ.*

*ქართული და აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა-კონფერენცია, რომელიც გაეროს ეგიდით 2001 წლის 15-17 მარტს იალტაში გაიმართა, ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული და დამაიმედებელი ნაბიჯი იყო. სახალხო დიპლომატიისა და ოფიციოზის ერთობლივ ძალისხმევას სავსებით შესაძლებელია, მოჰყოლოდა პრაქტიკული შედეგები.*

*მაგრამ სწორედ ამ დროს „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ დაინტერესებული ტრანსნაციონალური ძალების წაქეზებითა და ფინანსური დახმარებით დაიწყეს მოძრაობა სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. „ცხელი წერტილების“ პრობლემებმა ჯერ მეორე პლანზე გადაიწია, 2003 წლის ნოემბრიდან კი უმწიფართა პოლიტიკის თვალთახედვიდან საერთოდ გაქრა, თუმცა საჯაროდ გულზე მჯიღს იცემდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი ცხოვრების აზრი და მიზანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო...*

*თანდათან დავცილდით გაკვალულ გზას და ამით ხელი შევუწყვეთ გარე ძალებს აფხაზეთში გადამწყვეტი გავლენის მოსაპოვებლად.*

*2008 წლის აგვისტოს ომმა ხომ დიდი ხნით დაასამარა ჩვენი იმედები.*

*იალტის კონფერენციას ახლა აღარ ახსენებენ, არადა, ღირს, განსაკუთრებით, აფხაზეთში ომის დაწყების შავი თარიღის კვირაძალს.*

*„იალტა-2001“-ის დღეებში გაკეთებული ჩანაწერები ამის საშუალებას მაძლევს. სხვა განწყობაა, სხვა ემოციური მუხტი, ისეთი, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია დღევანდელ ვითარებაში.*

*მაშ, დავბრუნდეთ 8 წლით უკან.*

**2001 წლის 16 მარტი**

სასტუმრო **„იალტის“** საკონფერენციო დარბაზში გამართული სხდომების შემდეგ, ნაშუადღევს, დელეგაციების წევრები იმავე სართულზე, რესტორანში, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ დარბაზში სასადილოდ იკრიბებოდნენ.

ჟურნალისტებს ბოლო სართულზე მიგვიჩინეს ადგილი. ასე რომ, ამ დროს დელეგაციების კონტაქტების შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით და, როგორც ყოველთვის ასეთ ვითარებაში, რესპონდენტთა კეთილგანწყობილებაზე ვიყავით დამოკიდებული: გვეტყვიან? არ გვეტყვიან?

თქვეს. უფრო ზუსტად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მაშინდელმა რექტორმა **კოტე ჟორდანიამ**, რომელიც აღელვებული ჩანდა, თავად მომძებნა და, აი, რა მიამბო:

— მოგეხსენება, ქართველების და აფხაზების დელეგაციები ერთ დარბაზში რამდენიმე მრგვალ მაგიდასთან ვსადილობთ.

დღეს, რაღაც განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა — წლობით უნახავი ადამიანები შეხვდნენ ერთმანეთს. ეტყობა, ამან იმოქმედა, ეგებ, სხვა რამეც იყო, არ ვიცი, მაგრამ ქართველებმა აფხაზური სიმღერა **„ვარაიდა“** წამოიწყეს. პარლამენტის წევრმა არნოლდ ფენდერავამ თქვა პირველი ხმა — ემღერებოდა კაცს და იმღერა. აჰყვნენ სხვებიც და დააგუგუნეს **„ოუ ვარაიდა, სი ვარაიდა“...**

აფხაზების პირველი რეაქცია გაოცება იყო, მოულოდნელობის ეფექტი. რა ხდება?!

როცა აღიქვეს, რაც ხდებოდა, გაყუჩდნენ. ბაასი, რაც ჩვეულებრივია სადილის დროს, შეწყვიტეს, გვისმენდნენ საკუთარ ფიქრებში წასულები. დამთავრდა სიმღერა და ატყდა ტაში.

წამოდგა სერგეი შამბა, წამოდგა ყველა. შამბამ სასმისი ასწია და გულითადი მადლობა გადაგვიხადა.

მადლობა თქვეს სხვებმაც და დაიბადა იმედი: არ ჩამტყდარა თურმე ყველა ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის.

არასოდეს დამავიწყდება, როგორ გამოხატა საქართველოსადმი უდიდესი სიყვარული აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **ბორის გურგულიამ**. უდიდესი მოწიწებით გაიხსენა მისი მასწავლებელი, პროფესორი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, როგორ მოატარა მან **თსუ** სტუდენტებს მთელი საქართველო, გააცნო ქართული ძეგლები — დიდი ქართული ისტორიის და კულტურის მატერიალური დადასტურება.

როცა ბორის გურგულიას ბატონი ლალის გარდაცვალების ამბავი ვუთხარი, — განაგრობდა კოტე ჟორდანია,— ძალიან შეწუხდა.

— არ იცოდა?

— არ იცოდა. ეს სამწუხარო ამბავი ჩემგან გაიგო. ამოიოხრა: ღმერთო, რა კაცი წასულაო ამ ქვეყნიდან... ბატონი ბორის გურგულია ტანჯული კაცია. მას, როგორც ბევრ ქართველ მამას, შვილი აფხაზეთის ომში დაეღუპა.

ბორის გურგულია მოვიდა ქართველების დელეგაციასთან, მოგვესალმა და თქვა: ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ერთიან სივრცეში ვიმოძრაოთ...

**სად გაქრა ეს განწყობა? რატომ და ვისი მიზეზით ჩაენაცვლა მას მტრობა და სიძულვილი?**

**ჩვენ თუ არ ვიტყვით, ისტორია მაინც გამოუტანს განაჩენს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

**სასტუმრო „იალტის“ ლიფტში შემხვდა მხრებში მოხრილი, გაუნელებელი ტკივილისგან გატეხილი კაცი, მაგრამ საოცრად კეთილი თვალებით. შემომხედა, გამიღიმა და მკითხა:**

**— არმაზ, ვერ მიცანი? დაგავიწყდა ჩვენი უნივერსიტეტი და სტუდენტობა?**

**ვიცანი, როგორ არ ვიცანი — ყოველთვის მორიდებული, ზრდილობითა და ღირსებით, ერთგულებითა და მეგობრული სიყვარულით გამორჩეული სტუდენტი ბორის გურგულია.**

**ჩვენი გურგულია!**

**...და ვერ მოვერიე იმ გრძნობას, რომელსაც პირადი დანაშაულის შეგრძნება ჰქვია, ჩემ თავზე ვამბობ: რატომ ვერ შევძელით იმ ტრაგედიის თავიდან აცილება, რომელმაც ამდენი უბედურება მოგვიტანა ქართველებსაც და აფხაზებსაც?**

**2001 წლის 17 მარტი**

კონფერენციის დასკვნითი სხდომა დაიწყო იმით, რომ...

იმით დაიწყო, რომ აფხაზები ფეხზე წამოუდგნენ კონფერენცდარბაზში შესულ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს გიორგი არსენიშვილს.

აფხაზური ღირსების გამომხატველი ქცევა.

(ბატონ გიორგის ამ მასალის მომზადებისას დავუკავშირდი და ვკითხე, რა იგრძენით იმ დროს-მეთქი; **„იმ დღეებში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო“,**— მიპასუხა).

დასკვნით სხდომაზე განსაკუთრებით ამაღელვებელ ვითარებაში (არ არის ეს ცრუ პათოსი და მკითხველის გულის აჩუყების მცდელობა, მერწმუნეთ, მართლაც ასე იყო) ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის 15 პუნქტი ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობების აღდგენის ღონისძიებებს ითვალისწინებდა. მათ შორის, ახალგაზრდების ჯგუფების გაცვლას — 30 აფხაზი წინანდალში ჩავიდოდა, ქართველები სოხუმს ესტუმრებოდნენ; გაიცვლებოდნენ ჟურნალისტებიც; ქართული გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“** სოხუმში გავრცელდებოდა, აფხაზური **„აფსნი“** — თბილისში; ტელევიზიები ერთმანეთთან კონტაქტს დაამყარებდნენ და ასე შემდეგ. ძალიან საინტერესო ჩანდა ეკონომიკური თანამშრომლობის გეგმაც.

ხელმოწერის დამთავრებისთანავე, პრესკონფერენციაზე **გიორგი არსენიშვილმა** განაცხადა:

— ეს დოკუმენტი იმითაც არის გამორჩეული, რომ მასზე მუშაობა საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. ასე სწრაფად ამიტომ მოვაწერეთ მას ხელი.

არსენიშვილსა და აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ვიაჩესლავ ცუგბას** ამასთან დაკავშირებით ერთი აზრი ჰქონდათ — დოკუმენტი შემუშავებულია აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად და ამ საფუძველზე კონსესუსის მიღწევის გზით. ამიტომაც არის იგი გამორჩეულად საინტერესო.

ამ მომენტს გაუსვა ხაზი გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა **დიტერ ბოდენმა** და აღნიშნა, რომ სწორედ ხანგრძლივმა მოსამზადებელმა პროცესმა გახადა შესაძლებელი მოლაპარაკების წარმატება. აღნიშნა, რომ იალტის კონფერენციის მუშაობაში გაეროსა და ეუთოს წარმომადგენელთა მონაწილეობა ნიშნავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე, როგორც მეგობარი ქვეყნები, თავიანთ თავზე იღებენ მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ტვირთს... საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესებულია ამ პროცესის მშვიდობიანი განვითარებით.

შეკითხვა: — **კონფერენციის დღის წესრიგში არ იდგა საკითხი აფხაზეთის სტატუსის შესახებ, თუმცა, არაფორმალური შეხვედრების დროს მასზე ლაპარაკობდნენ. არის რაიმე წინსვლა ამ პრობლემასთან დაკავშირებით?**

**გიორგი არსენიშვილი:** — რომ ვთქვა, ამ თემაზე არ გვისაუბრიაო, არ ვიქნები მართალი. რა თქმა უნდა, ვსაუბრობდით. ეს ყველაზე ძნელი პრობლემაა და ჩვენი პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით, კარგად არის ცნობილი, ასევე, — აფხაზეთის მხარის პოზიციაც. საუბარი მიმდინარეობს. მართალია, რაიმე გარკვეულ გადაწყვეტილებამდე ჯერ ვერ მივედით, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სტატუსზე მშვიდად ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია. ერთმანეთს ყურს ვუგდებთ და რაოდენ მიუღებელიც გინდა მოგვეჩვენოს ერთმანეთის პოზიციები, უნდა ვუსმინოთ ერთმანეთს.

**ვიაჩესლავ ცუგბას** პასუხი დისკუსიაში ჩართული ადამიანის განსჯას უფრო ჰგავდა, კაცისა, რომელიც თავისი მხარის პოზიციას იცავს, ვიდრე აფასებს იმას, რაც კონფერენციაზე ხდებოდა:

— სტატუსის საკითხი მოლაპარაკების საგანი არ არის. აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსი მისი კონსტიტუციით არის განსაზღვრული. ლაპარაკია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის აღდგენაზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რომელიც დღეს ფაქტობრივად არ არსებობს... ამ თემაზე ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს, თუმცა მთავარ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს.

**დიტერ ბოდენი** საკმაოდ დიპლომატიური იყო:

— ხელოვნება ის არის, რომ ჩვენ არ ვუღრმავდებით ისეთ პრობლემებს, რომლებიც კონფლიქტის სრულმასშტაბიანი გადაწყვეტის დროს დადგება დღის წესრიგში... კავკასიის ყველა კონფლიქტი, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ფორმით გადაიჭრება.

შეკითხვა: — **მიაჩნიათ თუ არა კონფერენციის მონაწილეებს, რომ ერთგვარი პაუზის შემდეგ პრობლემის მოწესრიგება დაიწყო?**

**გიორგი არსენიშვილი**: — თუ ჩვენ ჩვენი ხალხების წინაშე ნამდვილი პასუხისმგებლობა გვაქვს, პაუზები მოლაპარაკების პროცესში არ უნდა გამეორდეს. ხოლო თუ უპასუხისმგებლოდ მოვეკიდებით დაკისრებულ მოვალეობას, პაუზა კი არა, შეიძლება ჩაგვეძინოს კიდეც ჩვენი უმოქმედობის მიზეზით, მაგრამ ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ჩვენ მართლაც ვართ პასუხისმგებელნი ხალხის, ისტორიის, ჩვენი ქვეყნის მომავლის წინაშე.

**ვიაჩესლავ ცუგბა**: — ყველა წინა შეხვედრა იყო არა იმდენად მოლაპარაკება, რამდენადაც მომზადება მოლაპარაკებისათვის.

**ესე იგი, მოხდა თვისებრივი ცვლილება, გადაიდგა ნაბიჯი, გადაილახა რუბიკონი, დაიწყო რეალური მოლაპარაკება; მაგრამ, ამასთან, გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით სვლა არ იქნება „მხიარული გასეირნება“.**

**მაგრამ არავინ ელოდა, რომ „მხიარულ გასეირნებაზე“ შეთანხმდებოდნენ.**

**დიტერ ბოდენი**: — მიღწეული დინამიზმი უნდა შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, ორივე მხარემ იკისრა დიდი პასუხისმგებლობა, განახორციელონ ერთობლივი მოქმედების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი. ჩემი აზრით, ამით, მართლაც, დიდ წვლილს შევიტანთ ახალი ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში. უკვე შეიძლება საუბარი იალტის სულისკვეთების შესახებ და მინდა, მჯეროდეს, რომ თანამშრომლობის ეს სულისკვეთება ნაყოფსაც შესაფერისს გამოიღებს.

ბოდენმა ჟურნალისტებს გვაცნობა, რომ უკვე აპრილის თვეში ორივე მხარე გამოყოფს თავის თითო წარმომადგენელს, რომლებიც სისტემატიურად მოახსენებენ საკოორდინაციო საბჭოს ურთიერთნდობის განსამტკიცებლად მიმართული ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომ იალტის კონფერენციის შედეგებს განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭო (!) და, საერთოდ,— კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის საკითხს.

შესვენების დრო არ არის, რადგან ყოველი დღე ადამიანების ტანჯვის **გაგრძელებაა! — ასეთი იყო „იალტა-2001“-ის საერთო პათოსი.**

**ეს პათოსი ისევე გაფერმკრთალდა და გაიცრიცა, როგორც ჩანაწერები, რომლებიც დღეს ჩვენს მკითხველებს წარვუდგინე.**

**წერტილი რომ დავსვი, გმირთა მოედანზე წავედი და ომში დაღუპული ბიჭების მემორიალთან თავი დავხარე.**

**ა. სანებლიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია II: ერი, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება, ღვთისგან მუდამ ისჯება.



ამ რამდენიმე წლის წინ, როცა ინგლისელი მომღერალი **“მამაკაცი”** ელტონ ჯონი **“გათხოვდა”**, ისტორიული ტრადიციების **“პატივისმცემელი”** ქვეყნის – ინგლისის დედოფალმა ერთმანეთთან **“ცოლქმრული”** ფიცით დაკავშირებულ **“წყვილს”** ბედნიერება და გამრავლება უსურვა. ბედნიერება პირობითი მცნებაა და ცხოვრების რაღაც ეტაპზე იგი შეიძლება სატანაზე სულმიყიდულმა და სულიან-ხორციანად წაწყმედილმა ვიგინდარამაც განიცადოს, აი, გამრავლებისა კი, რა ვთქვა...

ასევე რა მოგახსენოთ რაინდ წინაპართა მიერ შემონახული **“ტრადიციების პატივისცემაზე”** ინგლისის დედოფლის მიერ, რადგან ამ ქვეყნის რელიგიურ კანონში არსად წერია, რომ კაცს უფლება აქვს კაცთან დაიწეროს ჯვარი. იქნებ ამან მაინც დაგვაფიქროს, თუ როგორი სულიერი ფასეულობებისაკენ ვისწრაფვით ქართველები, როცა ხელისუფლების როყიო დაპირებებს გამოდევნებულები ბრმად მივისწრაფით ე.წ. **“ევროპული ღირებულებებისაკენ”**, რომლის ერთ-ერთ სამოქმედო პროგრამას ჩვენნაირი გზაარეული და გაუბედურებული ერებისათვის ჰომოსექსუალობისა და ლესბოსელობის ინსტიტუტების კულტივირება და მათ შეგნებაში ყოვეგვარი სიბილწის ჩანერგვა წარმოადგენს...

ასეთი ქვეყნის მომავალი განწირულია, რადგან მანკიერებისა და სოდომიზმის პროპაგანდირება განსაკუთრებულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ხვალინდელ დღეს – მცირეწლოვანთა და მოწიფულთა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, განუმტკიცებელ სულებს და მძიმე დაღს ასვამს მათი სულიერი ფორმირების პროცესს, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს მთელი თაობისათვის.

2000 წლის 13-16 აგვისტოს მოსკოვში გამართულ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა კრების დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **“სქესთა განსხვავება არის შემოქმედის განსაკუთრებული ნაბოძვარი მის მიერ შექმნილი ადამიანებისათვის...”** აქვე ნათქვამია, რომ წმინდა წერილი და ეკლესიური სწავლება არაორაზროვნად გმობს ჰომოსექსუალურ კავშირებს, ხედავს რა მასში მანკიერ გადახრას ადამიანის ღმრთივდადგენილი ბუნებისაგან, ხოლო საეკლესიო კრება მოგვიწოდებს, რომ ჰომოსექსუალური ცხოვრების წესის მხარდამჭერ პირებს უნდა აეკრძალოთ მასწავლებლებად, აღმზრდელებად მუშაობა და ნებისმიერი დამოკიდებულება არასრულწლოვანებთან. ისინი არ უნდა მუშაობდნენ სასჯელაღსრულების სისტემაში, სადაც ძალაუფლება ექნებათ პატიმრებზე, არ უნდა იყვნენ ოფიცრებად არმიაში, რომლებიც მრძანებლობენ ჯარისკაცებზე...

ჯერ კიდევ ძველი აღქმის ფურცლებიდან გვაფრთხილებს ღმერთი, რომ ადამის მოდგმა უნდა აერიდოს სისხლის აღრევას, სოდომიზმს, ლესბოსელობას, პირუტყვთა გახრწნას და სხვა ბიწიერებას. **“არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით... არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუწმინდურდე მისგან...”** – გვმოძღვრავს ბიბლია.

მიუხედავად ძველ საბერძნეთსა და რომში გავრცელებული ამ სიმახინჯისა (სადაც ერთმანეთთან სტუმრად მისული მეგობარი ჭაბუკები ერთად წვებოდნენ და ჰომოსექსუალური ქცევით ნებივრობდნენ), პავლე მოციქული ბრძანებდა, რომ ჰომოსექსუალური ცოდვის ჩამდენნი **“ჯერ კიდევ ამქვეყნად ისჯებიან...”**, ხოლო კორინთელებს მიწერილ ეპისტოლეში ამბობს: **“ნუ სცდებით... არცა მამათმავალმა სასუფეველი ღმრთისად ვერ დაიმკვიდრონ...”**

ქართლის ცხოვრების მემატიანე გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ გაწვრთნილი ჯარი უდიდეს წარმატებებს სწორედ სულიერი განწმენდის ფონზე აღწევდა: **“საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა...”** დავითის მემატიანე ქვეყანაზე თავს დატეხილ ყველა უბედურებას ბიბლიური შთაგონების უგულვებელყოფითა და ღმრთის მიერ დადგენილი კანონების უხეში დარღვევით ხსნიდა, სადაც აღნიშნულია, რომ **“ერი, რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კვალთაგან ფერხთათ ვიდრე თავამდე, არა არს მას შინა სიცოცხლე”**.

განა სოდომი და გომორი ჰომოსექსუალურ თუ ლესბოხულ შეცოდებების გამო არ მისცა ღმერთმა ცეცხლს, ხოლო დღესაც, ამ ნაქალაქართა ადგილზე მკვდარი ზღვა არის გადაშლილი.

ბევრად უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ ჰომოსექსუალურ შეცოდებებს ბაბილონელები: **“ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი. უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი...”**. მართალია, ჩვენ არავის მოკვლას და სიკვდილით დასჯას არ ვაპირებთ, მაგრამ ავხორცთა თანამოზიარენი რომ არ გავხდეთ, მოციქული მოგვიწოდებს, რომ ზურგი შევაქციოთ სულიერ და ხორციელ ბილწთ, ზიზღი და სიძულვილი შევაგებოთ ზნეობაჩაკირულ არსებებს, პური არ ვჭამოთ მათთან ერთად და არ შევეხოთ მათ ტანისამოსსაც კი, რომელიც უარყოფითი ენერგიითაა დამუხტული.

იგივე დავით აღმაშენებლის მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **“...ამ ცოდვამ სომეხთა დიდი და მსოფლიოს ყველა მხარეში ხმაგავარდნილი მოდგმა მათი სამეფოს დამთავრებით, არა მარტო დაამხო და დაამდაბლა, არამედ სულ მოსპო კაცთა შორის მათი სახელი და ურიებივით მიმოფანტა ისინი დედამიწის ზურგზე...”**

ჰიტლერი რომ ჰიტლერია, ისიც კი აცნობიერებდა, თუ რაოდენ დიდი ზიანი შეეძლო მოეტანა აღმავლობისაკენ მიმავალი გერმანელი ერისათვის ყოველგვარ პათოლოგიურ და სექსუალურ ანომალიებს. ადოლფის თანამებრძოლის, გერმანული ფაშიზმის ფუძემდებლური პრინციპების ერთ-ერთი შემოქმედის ერნსტ რემის სიკვდილით დასჯის მთავარ ქვაკუთხედად ისიც იქცა, რომ იგი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევარი გახლდათ. სხვა გერმანელ ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს კი ჰიტლერმა თავი ერთად მოუყარა, მათი უფლებების დაცვისა და იზოლირებისათვის განმარტოებით მდებარე კუნძულზე გადაყვანის საბაბით ყველანი გემზე აიტყუა და ეს გემი შუა ბალტიის ზღვაში ჩაძირა. ვერ ვიტყვი, რომ ეს მთლად ჰუმანური საქციელი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გერმანიაში, ერის ნაგვად და ტალახად ქცეული სულიერ-ხორციელად გადაგვარებული არსებების განადგურების თაობაზე, არც პროტესტი გამოუთქვამს ვინმეს და არც გლოვის დღე დაუწესებია.

საქართველოში ამ სიმახინჯემ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოაღწია. რომელი კულტურული და დალაგებული მეზობლები ჩვენ გვყავდა, რომ ამგვარი სიბილწე ცხოვრების წესად არ ექცია (თურქეთი, სპარსეთი თუ არაბეთი?).

XVIII-XIV საუკუნეებში საქართველოში სომხეთ-არაბეთიდან შემოთესლილმა ყარაჩოხელობისა და კინტოების ინსტიტუტმა სათავე დაუდო ოსტატ-შეგირდის სისტემის დამკვიდრებას, რაც ფაქტიურად ხორციელი სიბილწის ლეგალიზებას ნიშნავდა. როგორც წესი, ოსტატი ჰომოსექსუალურ ცოდვას სჩადიოდა თავის შეგირდ ბიჭუნებთან, რომელთაც **“თუქსუსებს”** უწოდებდნენ. სწორედ აქედან მოდის სიმღერა **“პატარა ბიჭი დამეკარგა, ცისფერპერანგა...”** და არა **“პატარა გოგო დამეკარგა...”** როგორც ახლა წარსული საუკუნის სიგლახის გამამართლებლები **“მეფის კარის”** მომღერლები მღერიან.

იქნებ ამ ინსტიტუტის აღორძინებას ისახავს მიზნად საქართველოს **“მოსომხო”** ხელისუფლება, რომელიც დღეს აქტიურად ახორციელებს ქართველი ერის დაკნინებისა და განადგურების სომხურ პროგრამას? ყოველი შემთხვევისათვის, არასოდეს ისეთი ძლიერი არ ყოფილა საქართველოში პროსტიტუციის, ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის პროპაგანდა, როგორიც დღესაა. დღე არ გავა, რომ ტელეარხმა **“რუსთავი-2”**-მა და მისმა ამფსონმა ტელეარხებმა ნორმალური საზოგადოებისათვის გულისამრევი და ყოვლად მიუღებელი სპეციალური გადაცემა არ უძღვნან მეძავებსა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს. მათი ეკრანიდან დიდი ხანია გაქრნენ ქართველი მოკრძალებული ბანოვანები და ვაჟკაცური სილისკვეთების მქონე ჭაბუკები, სტუდიაში უკვე აღარ იწვევენ ღვაწლმოსილ ადამიანებს (სააკაშვილმა რომ **“ჩარეცხილებად”** მოიხსენია): პედაგოგებს, ინჟინრებს, მედიცინის დარგის მუშაკებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, რომლებიც დღემდე მხოლოდ ქართული ტრადიციული ეროვნული ღირებულებების ერთგულებად რჩებიან...

**“ერი, რომელსაც დასაშვებად მიაჩნია გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება, ღვთისგან მუდამ ისჯება”**, ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია II**-ის განცხადებაში, რომელიც 2007 წლის 29 ივლისს საქართველოში ეგრეთწოდებულ სექსუალურ უმცირესობათა მონაწილეობით დაგეგმილ მსვლელობას ეხებოდა. ვერ გაბედეს მაშინ ამ სამარცხვინო და ღვთისმგმობელი მსვლელობის მოწყობა **“თავისუფლების ინსტიტუტის”**, მათი ამფსონი ტელეარხებისა და სიბილწის მოტრფიალე რამიშვილ-თუთბერიძე, თევზაძე-ლადარიებმა თავიანთი ბილწი განაზრახის სისრულეში მოყვანა, რადგან ქართველი ხალხის რისხვის შეეშინდათ, თუმცა მაინც ვერ ისვენებენ და აგურ-აგურ აცლიან საძირკველს ტრადიციულ ქართულ მენტალიტეტს. საზოგადოება დიდი ხანია დარწმუნდა, რომ ეს ავადსახსენებელი **“თავისუფლების ინსტიტუტი”** დამკვიდრდა საიმისოდ, რომ დაიცვას სექსუალური და რელიგიური უმცირესობები და არა საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და ქვეყნის დემოკრატიული პრინციპები. სხვადასხვა მასონური წარმონაქმნები, როგორიცაა თუნდაც **“მსოფლიო ბანკი”** თუ **“სავალუტო ფონდი”**, სიბოროტის საწყისად ქცეულ **“თავისუფლების ინსტიტუტს”** აფინანსებენ არა სიცოცხლის, ერის ფიზიკური გადარჩენის, სწავლის, შრომის, ჯანდაცვისა და ქვეყნის ეროვნული ორიენტაციის დაცვას, არამედ გამხრწნელი ღირებულებების შემოსათესლად.

პიროვნების თავისუფლება ყველაფრის თავისუფლებას როდი ნიშნავს, რასაც ადამიანი მოისურვებს. ყოველი საზოგადოებრივი ფორმაციისას, ყოველ ეპოქასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაში საზოგადოებას თავისი ზნეობრივი ორიენტირი ჰქონდა, რომელსაც მისი თითოეული წევრი ემორჩილებოდა. მაგალითად, ნუდისტებს სპეციალურად გამოყოფილი ადგილი აქვთ და სწორედ საზოგადოების ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე, ყველგან ვეღარ იკრიბებიან. სწორედ ამიტომ, ქართული საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით ვერ ჩაატარეს, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები, უცხოეთიდან დაფინანსებული **“გეი-აღლუმი”**, ლოზუნგით – **“ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ თანასწორნი ვართ”**, რომელიც ფონდ **“ინკლუზივს”** უნდა ჩაეტარებინა (ალბათ ამიტომაც ვეზიზღებით **“პაკოებს”**, ლადარიებს, თევზაძეებს და მათ მსგავსებს).

ქართული საზოგადოების ფონზე, ამ აღლუმის ჩაშლაში გადამწყვეტი აღმოჩნდა უწმინდესის სიტყვა, რომელმაც მოსალოდნელი ფიზიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად საზოგადოებასა და ორგანიზატორთ ტრადიციულ საქართველოში ასეთი აღლუმების ჩატარების არამართებულობაზე მიუთითა. როგორც ჩანს, ამ ღონისძიების ჩაშლის გამო სიმახინჯის მქადაგებელ ინსტიტუტებს, ჰომოსექსუალების აღლუმის ორგანიზებისათვის გამოყოფილი გარკვეული თანხის შოვნის იმედი გადაეწურათ, რაც მათი უზომო აღშფოთების მიზეზად იქცა. სწორედ ამიტომ განათავსა უწმინდესზე ყოვლად უხამსი ვიდეორგოლი **“თავისუფლების ინსტიტუტის”** პოლიტსაყვირმა, უმეცარმა, სულით და სხეულით მახინჯმა **“ბუდარიხა”** თეა თუთბერიძემ, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

ეს სიმახინჯის განსახიერება რომ მარტოსული არ არის, ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი. **“დემოკრატიული ღირებულებების”** დაცვის დევიზით არაერთი **“აქტივისტი ქომაგი”** დაუპირისპირდა უწმინდესს, მისი სახით კი მთელ ქართულ საზოგადოებას. გაიხსენეთ ე.წ. **“განათლების რეფორმა”**, რომელიც ფაქტიურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ქართული განათლების ტაძრის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანგრევით დასრულდა. ქართული განათლების სისტემის წინააღმდეგ **“სულდადრეკილთა”** მიერ გაჩაღებული ბრძოლა **“საბჭოური გადმონაშთების”** განადგურების ნიშნით წარიმართა. სავსებით გასაგებია თეა თუთბერიძია ზიზღი უნივერსიტეტის მიმართ, რადგან მან საკუთარი უმეცრების წყალობით ვერ ჩააბარა საკურსო გამოცდა და მისი წარუმატებლობა ლექტორის, პროფესორ ქალბატონ დალი ფანჯიკიძის სუბიექტურობით ახსნა. მაგრამ ამ ალქაჯმა კარგად იცის, რომ დღეს ქართულ სულიერებას მხოლოდ ეკლესია უდგას დარაჯად და სწორედ ამ ფუნდამენტის ჩამოსაშლელად უხმობს მისნაირ უჯიშოებსა და გენშეცვლილებს. ამას კი მხოლოდ იმ საზოგადოებაში მოახერხებს, სადაც კაცი ქალი იქნება, ქალი კი კაცი, რადგან ამგვარ ანომალიურ არსებებს საკუთარი ხორციელი ტკბობის მეტი სხვა არაფერი აინტერესებთ.

ჩვენ მხოლოდ ის გვძენს მხნეობას, რომ განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმისა და პოლიტიკური კურსის მიუხედავად, მართლმადიდებლობისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება, **“მოსყიდულ”** სულმოკლე და სულიან-სხეულიანად გადაგვარებულთა გამოკლებით, ერთმნიშვნელოვნად დადებითია.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ევროპის ქვეყნებში, სადაც ჰომოსექსუალიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშიც კი არის აყვანილი, ტელეარხებს გარკვეული მცირე დრო აქვთ დათმობილი ამ სიბილწისადმი, რომლის ნახვა მხოლოდ ვიწრო დაინტერესებულ აუდიტორიას შეუძლია, მაგრამ არსად არ მიმდინარეობს პროსტიტუციის, ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის ისეთი აღვირახსნილი პროპაგანდა, როგორც ჩვენთან, საქართველოში.

ამიტომ, სიფრთხილე, დიდი სიფრთხილე მართებს სრულიად საქართველოს!

**როლანდ ჯალაღანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



*სერგეი კრემლიოვი*

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი**

1935 წელს სტალინმა წამოსწია ლოზუნგი **"კადრები წყვეტენ ყველაფერს!"**, და ამის ერთ-ერთი პერსონალური დადასტურება გახლდათ ლავრენტი ბერია.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, უნდა დავუბრუნდეთ იმ პერიოდს, როცა ბერია მართავდა ამიერკავკასიას. უკვე აღვნიშნე, რომ მან მოკლე პერიოდში შეუცვალა ორიენტაცია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობას და დანერგა ის კულტურები, რისი გახარებაც შეიძლებოდა სუბტროპიკულ და მთიან ზონებში: ციტრუსები, ჩაი, თამბაქო, ყურძენი... 1933 წელს კომპარტიის ცეკამ და სახკომსაბჭომ აღნიშნეს, რომ საქართველოში მოყვანილი ჩაის წყალობით საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ამ კულტურის იმპორტირებაზე.

ბერიას ჩაით არ დაუწყია, მან დაიწყო იმით, რომ 1931 წელს გააუქმა საკოლმეურნეო ცენტრი და შექმნა მიწათმოქმედების სახელმწიფო კომისარიატი. და უკრაინაში მყოფი კოსიორისა და ხატაევიჩისაგან განსხვავებით კი არ შეამცირა, არამედ გააფართოვა კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობები. ამასთან ერთად, კაბინეტური სამუშაოს გარდა ბერია ხშირად ჩადიოდა ადგილებზე. ცეკას პლენუმები ეძღვნებოდა ცალკეული კულტურების დანერგვის საქმეს, ტარდებოდა კოლმეურნეთა ყრილობები, ეწყობოდა გამოფენები, გაზეთები და ჟურნალები წერდნენ მოწინავე ადამიანებზე...

1934 წლის იანვარში, საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე, მას სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა:

**"რეალური გახდა საქართველოს სოფლების კეთილდღეობა, გამსხვილდა კოლმეურნეობები, წარმატებით ინერგება ახალი სპეციალური და ტექნიკური კულტურები... კოლმეურნეები და ცალკეული მშრომელები კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას..."**

აი ციფრებიც: 1931 წელს კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების 36 %. 1939 წელს კი – 86 %. ამასთან, 1936 წელს კოლმეურნეთა შემოსავალმა შეადგინა 234.992 მანეთი, 1939 წელს კი შემოსავალი ნახევარ მილიარდ მანეთს ასცდა.

ალ. ტოპტიგინი ბერიაზე დაწერილ წიგნში აღნიშნავდა: **"როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალისტმა, ბერიამ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, სადაც ბევრი ვერ მიაღწევდა"**. დააკვირდით: **"როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალისტმაც..."**

იმავე ტოპტიგინმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ბერიას წყალობით საქართველოს კვების ინდუსტრია ლიდერად იქცა მთელ საბჭოთა კავშირში. საუბარია საკონსერვო წარმოებაზე, ღვინის წარმოებაზე, ჩაის გადამუშავებაზე... ამ საქმეში ბერიას დიდად ეხმარებოდნენ ჩეკადან წაყვანილი ამხანაგები, კერძოდ, ვლადიმერ დეკანოზოვი, რომელიც საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარი იყო.

ბერიამ ასევე დიდი სამუშაო გასწია ამიერკავკასიაში კულტურული რევოლუციის მოხდენის საქმეში. მოდით, კვლავ ტოპტიგინის მონაცემებს დავეყრდნოთ:

**"1928-1929 წლებში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო არაერთი დადგენილება უმაღლესი სასწავლებლების ჩამოყალიბების თაობაზე. საქართველოში (სადაც განათლების საქმეს სათავეში ედგა მადამ ორახელაშვილი) ამას რეაგირება მოჰყვა – გაიხსნა რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც, სიმართლე რომ ვთქვათ, ძლივს ფეთქავდნენ...**

**ბერია ამ საქმეს მოეკიდა ისე, როგორც სამხედრო ამოცანას. მხოლოდ 1931 და 1932 წლებში საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო ექვსი დადგენილება, სადაც ყველაფერი დაწვრილებით იყო გაანგარიშებული. 1932 წლიდან საქართველოში საფუძველი ეყრება საყოველთაო სწავლებას, კომკავშირული საგზურებით ათასობით ახალგაზრდა მიემგზავრება სასწავლად მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, სარატოვში... 1938 წელს განათლების მხრივ საქართველო პირველ ადგილს იკავებს მთელ საბჭოთა კავშირში"**.

1987 წელს გამომცემლობა **"მეცნიერებამ"** გამოსცა ა.ვ. ბიწაძის წიგნი, რომელიც მიეძღვნა შესანიშნავ ქართველ მათემატიკოსს ილია ვეკუას. ბერიას თაობაზე ამ წიგნში არაფერია თქმული. მიუხედავად ამისა, ამ წიგნში მაინც ილანდება ბერიას სახელი. ბიწაძე წერდა:

**"ოცდაათიან წლებში საქართველო კავშირის ერთ-ერთ ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. 1933 წელს საქართველოში მოქმედებდა 11 უმაღლესი სასწავლებელი... 1933 წელს ილია ვეკუა და სხვა ქართველი მათემატიკოსები, რომელთაც დაამთავრეს ლენინგრადისა და მოსკოვის ასპირანტურები, თბილისში დაბრუნდნენ, სადაც მათ საინტერესო და აქტუალური ამოცანები ელოდებოდათ...**

**1937 წლის შემოდგომაზე ვეკუა დიფერენცირებულ განტოლებებზე კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე..."**

მაგრამ ყველაფერი ეს ხომ საქართველოს პარტიული ლიდერის ბერიას დამსახურება გახლდათ! ქართული უმაღლესი სკოლის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა სწორედ ბერიას ინტუიციამ და მისმა პროფესიულმა ხედვამ. იგი ყოველთვის ეხმარებოდა ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ სწავლულებს. ასე რომ, 1937 წელი აღნიშნული იყო არა მხოლოდ **"ტერორით"**, არამედ ისეთი ტალანტების გამოვლენითაც, როგორიც იყო ილია ვეკუა.

ბერია ამიერკავკასიას სათავეში ჩაუდგა მეორე ხუთწლედის წინ. ეს დანიშვნა იღბლიანი გამოდგა როგორც ბერიასათვის, ისე ამიერკავკასიისათვის. ბერიას ვრცელი ასპარეზი მიეცა, ამიერკავკასიამ კი მიიღო ადამიანი, რომელსაც ძალუძდა დიდი ამოცანების გადაწყვეტა.

მეორე ხუთწლედის (1932-1937 წ.წ.) საერთო საკავშირო დირექტივები პარტიის XVII ყრილობაზე დამტკიცდა. მარტში კი ამიერკავკასიის გაერთიანებულმა სამხარეო კომიტეტმა განიხილა ხუთწლიანი გეგმისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების განვითარების ძირითადი მიმართულებები. სამრეწველო წარმოების მოცულობა საქართველოში იზრდებოდა ხუთჯერ, ფეროშენადნობის წარმოება – შვიდჯერ, ქვანახშირის მოპოვება – თორმეტჯერ...

დადგა 1936 წელი.

ამ წლის დასასრულს, საბჭოების VII საგანგებო ყრილობაზე უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია – **"სტალინური"**. მაგრამ ხდებოდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სამართლებრივი ბაზის განახლება – იცვლებოდა საბჭოთა კავშირის სტრუქტურაც. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე უქმდებოდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ უშუალოდ შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკებად.

იცვლებოდა ეკონომიკის მართვის სტრუქტურაც – საბჭოთა რესპუბლიკებში ყალიბდებოდა მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატები, იქმნებოდა მეხორბლეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები. 17 ოქტომბერს კაგანოვიჩმა და მოლოტოვმა სოჭში გაუგზავნეს სტალინს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, სავსებით გასაგები მიზეზის გამო ამ პროექტში არ ფიგურირებდა.

იმავე დღეს სტალინმა ტელეფონოგრამით უპასუხა:

***"თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი... გამოიწვევს კავკასიელთა, კერძოდ კი ბერიას გულისწყრომას. სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად ფორმალურად მაინც უნდა მოგეხსენებინათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. ორ თვეში ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღარ იქნება და ამიტომ მასში არ შევქმნით სახალხო კომისარიატებს. მაგრამ ის, რომ დადგენილების პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, ეს გაუგებრობას გამოიწვევს..."***

სტალინს განზრახული ჰქონდა, რომ აღნიშნული პროექტი მხოლოდ კონსტიტუციის მიღების შემდეგ გამოექვეყნებინა. ამიტომ, ამავე შიფროგრამაში აღნიშნავდა:

***"რაც შეეხება თვით დადგენილების პროექტს, იგი მოუხერხებლად არის ფორმულირებული. უხერხულია, ზემოდან ვუკარნახოთ მოკავშირე რესპუბლიკებს, რომ მათ უნდა შექმნან ესა თუ ის კომისარიატი. მე ვვარაუდობდი, რომ მოკავშირე რესპუბლიკები თავად შემოვიდოდნენ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მოტივირებული წინადადებებით ამა თუ იმ კომისარიატის შექმნაზე, რაზედაც თანხმობას მიიღებდნენ. აქ კი ყველაფერი პირიქითაა".***

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ეს დროის დაკარგვაა და ბერიას სურდა ქარიშხლის გამოწვევა ჭიქაში... ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ **"ბერია გაწიწმატდა იმით, რომ დადგენილების პროექტში არ იყო ნახსენები ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. სტალინი კი დემოკრატობანას თამაშობს და ვითომ რაღაც უფლებებს აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს. მოსკოვი ხომ ხელთათმანებივით ცვლიდა მოკავშირე რესპუბლიკათა პირველ პირებს"**.

მაგრამ ეს არ გახლდათ წვრილმანი! და თუ დავფიქრდებით, სწორედ **"წვრილმანი"** იქცა სტალინის იდუმალებით მოსილი სიკვდილისა და ბერიას დაპატიმრების მიზეზად.

აი, რაში იყო საქმე.

მოსკოვიდან აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას პირველი მდივნის რუბენის განთავისუფლება და მის ადგილზე ბაგიროვის დანიშვნა სავსებით მისაღები იყო, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტი მკაცრად უნდა დამორჩილებოდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებებს.

პარტია გახლდათ საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდი, იდეურ თანამოაზრეთა ურყევი კავშირი.

მოკავშირე რესპუბლიკა კი საბჭოთა ხელისუფლებაა, მთელი საზოგადოება. საზოგადოების ამოცანები კი მხოლოდ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს!

და თუ სტალინი (ბერიაც) ყველაზე წინ აყენებდა პარტიის ამოცანებს, ეს ხდებოდა მხოლოდ სოცაღმშენებლობის პროცესების გასაძლიერებლად და დასაჩქარებლად.

პარტოკრატიას კი ეს ხელს არ აძლევდა. ამან მიიყვანა ქვეყანა 1937 წლამდე.

მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბრებთ.

ამიერკავკასიაში 1936 წლის რეორგანიზაცია რთული იყო – დაწყებული პოლიტიკური ასპექტებით და დამთავრებული ადმინისტრაციული გადაადგილებებით.

ამიერკავკასიის ფედერაციას გააჩნდა როგორც ერთობლივი სახალხო კომისარიატების საბჭო, ასევე ცალკეული რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები. პარტიული ხელმძღვანელობაც ასევე გახლდათ: იყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელსაც ემორჩილებოდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიის ცენტრალური კომიტეტები.

ახლა ამიერკავკასიის სტრუქტურები უქმდებოდა და ბერია ინარჩუნებდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობას. ერთის მხრივ, ეს დაქვეითება იყო, მეორე მხრივ კი, მას ახლა შეეძლო, რომ მთელი გულისყური საქართველოს პრობლემების მოგვარებაზე გადაეტანა. მაგრამ, ჯერ წინ რეორგანიზაციის პროცესი იდო, რომელიც ყოველთვის რთულია, თუ მას კეთილსინდისიერად უდგებიან.

მაგრამ ბერია მშრომელი ადამიანი იყო და მოჩვენებითობა არ ეხერხებოდა. ამიტომ მას წინ დიდი სამუშაო ელოდა – ამიერკავკასიის რესპუბლიკების განცალკევება. მაგრამ, აი, რისი ახსნა მინდა... კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ სტალინის წერილი და გავერკვეთ, თუ რას აპროტესტებდა ბერია. ორ თვეში ამიერკავკასიის ფედერაცია უკვე აღარ იქნება და რას უნდა გაეღიზიანებინა იგი მისთვის უკვე **"გაუცხოებულ"** აზერბაიჯანსა და სომხეთთან მიმართებაში?

მაგრამ ბერია არასოდეს მუშაობდა **"აქედან იქამდე"**. იგი სუსლოვის ტიპის ადამიანების სრული ანტიპოდი იყო, რომელიც მუდამ იმეორებდა: **"ეს ჩვენთვის არ დაუვალებიათ"**. ბერიამ კარგად იცოდა, რომ მიუხედავად ამიერკავკასიის სტრუქტურების გაუქმებისა, ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა უკმაყოფილება, ეს კი საქმეს დიდად არ წაადგება. ეს კი სწორედ სტალინს უნდა გაეთვალისწინებინა.

სტალინმაც გაითვალისწინა. მან სხვებზე უკეთ იცოდა **"წვრილმანების"** მნიშვნელობა.

1936 წელი სამუშაო ჯახირში გაილია... ისტორიას ჩაბარდა ამიერკავკასიის ფედერაცია, მომავალ 1937 წელს კი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავი უნდა აღენიშნათ. ამავე დროს ახლოვდებოდა პუშკინის დაღუპვის 100 წლის თარიღი, რისთვისაც მთელი ქვეყანა ემზადებოდა. იუბილის ძირითადი ლაიტმოტივი იყო არა ის, რომ პუშკინი დაიღუპა, არამედ ის, რომ პუშკინი უკვდავია. არა მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას, არამედ სტალინსაც კარგად ესმოდა კულტურის მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანა წარმატებას წარმატებაზე აღწევდა.

ყველამ თავისებურად აღნიშნა ეს იუბილე. მაგალითად, ერთ სასკოლო რვეულზე გამოსახული იყო გზაგასაყარზე მდგარი რუსი დევგმირი, რომლის აღკაზმულობაში ასოები იყო ჩაქსოვილი. თუ დაკვირვებით წაიკითხავდით ამ ასოებს, მიიღებდით ლოზუნგს: **"ძირს საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ)"**.

თბილისში აქტიურად ემზადებოდნენ პუშკინის იუბილისათვის. მაგრამ, ამავე დროს უნდა აღნიშნულიყო შოთა რუსთაველის უკვდავი **"ვეფხისტყაოსნის"** შექმნის 750 წლის იუბილე. მე-12 საუკუნეში შექმნილი ეს ნაწარმოები ხომ ქართული ლიტერატურის სიამაყეა.

შოთას იუბილეც საკავშირო დღესასწაულად იქცა, რაშიც დიდი წვლილი ედო არა მხოლოდ სტალინს, არამედ ბერიასაც.

სამწუხაროდ, 1937 წელი იყო არა მხოლოდ სახელოვანი იუბილეების აღნიშვნის ეპოქა, სერიოზული დრამატული პერიოდიც. **"დემოკრატები"** ამას **"დიდ ტერორს"** უწოდებენ და მართლაც, 1937-1938 წლები განსაკუთრებით იყო გამორჩეული რეპრესიების მხრივ.

მაგრამ, იყო თუ არა ეს რეპრესიები მასიური, და მით უმეტეს, უსაფუძვლო – დიდ კითხვის ნიშანს ბადებს. ამიტომ, ძვირფასო მკითხველო, 1937 წელზე ჩვენ დიდ ხანს უნდა გავჩერდეთ...

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “კოლხები — ქართველების წინაპრები”



ამ მოვლენებს არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია,არც ეთნიკური,არც ენობრივი, არც სარწმუნოებრივი,მხოლოდ ეს იყო,რომ ამ საერისთავოებში მცხოვრებ მეგრელებს მოიხსენიებდნენ აფხაზებად,გურულებად, ოდიშარებად,რაჭველებად. აჭარა ამ ეპოქაში ადმინისტრაციული ერთეული არ ყოფილა,არც ცნება **„აჭარელი“** არსებობდა, აჭარა გურიის საერისთავოს ეკუთვნოდა.

მართალია,ისინი ყველანი ქართველები იყვნენ და მათი ეროვნული ენა ქართული იყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული ქართული ენა და, მათთვის საურთიერთობო ენად ისევ მეგრული დარჩა.

მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად,XV საუკუნის ბოლოს, ერთიანი საქართველო ისევ სამეფო-სამთავროებად დაიშალა.

დასავლეთ საქართველოში, ყოფილ ეგრისის სამეფოში წარმოჩინდა იმერეთის სამეფო (1463) წელი.

ეგრისის სამეფოს ყოფილი ტერიტორია. გარდა იმისა,რასაც იმერეთის სამეფო მოიცავდა, შევიდა სამეგრელოს სამთავროში, რომლის შემადგენლობაში კვლავ დარჩნენ აფხაზეთისა და გურიის საერისთავოები, ლეჩხუმი და სვანეთი.

ფეოდალური მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეს საერისთავოები ცდილობდნენ, სამეგრელოს მთავარ დადიანისაგან დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ. ეს იმერეთის მეფესაც ხელს აძლევდა, რადგანაც სამეგრელოს სამთავრო,რეალურად,არც კი ემორჩილებოდა მას. უფრო მეტიც, სამეგრელოს მთავარს ხშირად მეფედაც მოიხსენიებდნენ.

დიახ,ფეოდალური მენტალიტეტიდან გამომდინარე, ეს საერისთავოები ცდილობდნენ, სამეგრელოს სამთავროსაგან დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ და უშუალოდ დამორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს.

გურიის საერისთავომ ეს შესძლო XVI საუკუნის ბოლოს,ხოლო აფხაზეთმა XVII საუკუნის დასაწყისში,მაგრამ,მიზნის მისაღწევად, აფხაზთა ერისთავმა შარაშიამ აშკარად ანტიქართული გზა აირჩია — თითქმის ნებაყოფლობით დაექვემდებარა თურქეთს და დაიწყო ჩრდილო-კავკასიელების ჩამოსახლება აფხაზეთში, რომლებსაც სამეგრელოს მთავარ დადიანის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა.

სწორედ ამ ეპოქიდან გამოჩნდა ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხი აფხაზეთში და ქართული სინამდვილიდან აფხაზეთის ერთგვარი გაუცხოება დაიწყო.

მართლაც,თურქეთისა და ჩრდილოკავკასიელების დახმარებით,აფხაზეთის საერისთავო ისე გაძლიერდა, რომ სამეგრელოს წაართვა ტერიტორია, მდინარე ენგურიდან სოხუმამდე. მართალია, ლევან მეორე დადიანმა (1611-1657 წლები) შეძლო, დაებრუნებინა ეს ტერიტორია და კედელიც კი ააშენა კელასურთან,მაგრამ,XVII საუკუნის ბოლოს,აფხაზეთმა ისევ დაიპყრო ეს ტერიტორია.

როგორც ცნობილია,XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველო რუსეთს შეუერთდა და,რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ რუსებმა აღადგინეს სამართლიანობა. მათ დააკმაყოფილეს დადიანის კანონიერი თხოვნა — დაუბრუნეს ტერიტორია სოხუმიდან მდინარე ენგურამდე და ასე იყო ეს,კომუნისტურ ეპოქამდე.

სხვათა შორის,აფხაზეთის მთავარმა შარაშიამ (შერვაშიძემ) აშკარა სიყალბე იკადრა — სამთავროს სტატუსის შენარჩუნების მიზნით, რუსებს განუცხადა, აფხაზები ქართველები არ არიანო და აფხაზებად წარუდგინა ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხი (თუმცა მათი რაოდენობა სრულიად უმნიშვნელო იყო), რაც რუსებმა ირწმუნეს, რადგანაც ეს მათაც აძლევდა ხელს.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ბოლომდე, აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები ითვლებოდნენ აფხაზებად, ხოლო ჩრდილოკავკასიელებს მთის ხალხებად მოიხსენიებდნენ,მით უმეტეს,რომ იმ ეპოქაში მათი ეროვნებები დადგენილი არც იყო.

სხვათა შორის,XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აღინიშნა ქართველების წასვლა თურქეთში, მათ შორის აფხაზეთიდანაც, რაც ისტორიაში **„მოჰაჯირობის“** სახელითაა ცნობილი.

აფხაზეთში ეს მოვლენა დაკავშირებული იყო რუსების მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებასთან (1864 წელი), მაგრამ იმ ეპოქაში თურქეთში არ წასულა აფხაზეთში მცხოვრები არც ერთი ჩრდილოკავკასიელი. იქ წავიდნენ მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები და სწორედ ისინი იწოდებოდნენ აფხაზებად.

უფრო მეტი, დღეს თურქეთში მცხოვრები აფხაზები,ფაქტობრივად,მეგრელები არიან, შესანიშნავად იციან მეგრული და წარმოდგენა არა აქვთ ე.წ. აფხაზურ-ადიღეურ ენაზე.

სამწუხაროდ,ეს,ეტყობა მათ არ იციან, რასაც ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების შეცდომად მივიჩნევ.

არასწორია, აფხაზი მეცნიერები დღევანდელი ე.წ. აფხაზების სიმცირეს **„მუჰაჯირობის“** მოვლენით რომ ხსნიან.

თითქმის XX საუკუნემდე ეროვნებას განსაზღვრავდა სარწმუნოება,სათანადოდ, მოსახლეობის სტატისტიკა მიჰყავდა ეკლესიას.

მართლაც, XIX საუკუნის ბოლოს, საეკლესიო უწყისის მიხედვით, აფხაზეთში შემდეგი დემოგრაფიული სურათი იყო:

იქ ცხოვრობდა დაახლოებით 80.000 კაცი, აქედან 92 პროცენტი — 73.000 მართლმადიდებელი, ძირითადად ქართველები (მეგრელები), 3 პროცენტი — 2.400 გრიგორიანელი სომხები, 5 პროცენტი — 4.000 მუსულმანი,ჩრდილოკავკასიელები. ამ ეპოქამდე ეროვნებას განსაზღვრავდა სარწმუნოება.

აფხაზეთის ტერიტორია, ფაქტობრივად, იყო სოხუმიდან გაგრამდე,ვინაიდან სოჭიტუაფსეს რეგიონი, რეალურად, უკვე რუსეთის საზღვრებში მოიაზრებოდა.

1897 წელს, რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა და პიროვნების ანკეტურ მონაცემებში პირველად შეიტანეს **„ეროვნების“** რეკვიზიტი.

საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ეროვნებად ირჩევდნენ იმ კუთხის დასახელებას, სადაც ცხოვრობდნენ.

სათანადოდ, ეროვნებებად ფიქსირდებოდა **„კახელი“, „მესხი“, „ხევსური“, „იმერელი“, „გურული“,„მეგრელი“,„აჭარელი“, „აფხაზი“,„სვანი“** და ა.შ.

აღწერას ახორციელებდნენ რუსი მოხელეები, რომლებსაც ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მით უმეტეს,რომ მათ ხელს აძლევდა დემოგრაფიული სიჭრელე საქართველოში.

სამწუხაროდ,არც ქართველ მოღვაწეებს მიუქცევიათ ამისთვის ყურადღება,რაც აშკარად დიდი შეცდომა იყო.

ამდენად,აღწერის შედეგად,აფხაზეთში შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

ქართველი (მეგრელი) — 43.000 (54 პროცენტი), რუსი — 1.600 (2 პროცენტი), ბერძენი — 2.400 (3 პროცენტი), სომეხი — 2.400 (3 პროცენტი), აფხაზი — 30.400 (38 პროცენტი). სულ 80.000 კაცი.

რადგანაც აფხაზეთში მცხოვრებმა ჩრდილოკავკასიელებმა თავიანთი ეროვნება ზუსტად არ იცოდნენ, რუსებმა ისინიც აფხაზებად დაწერეს. სამწუხაროდ, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და მეცნიერებს არც ამისთვის მიუქცევიათ ყურადღება. არადა, ამ მოვლენამ საშინელი ასახვა ჰპოვა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში.

ამდენად, 30.400 აფხაზიდან, 26.400 მეგრელი აფხაზი იყო და მხოლოდ 4.000 იყო ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხი.

სწორედ ამ ეპოქიდან შეიძინა ქართული ტომური დატვირთვის ცნება **„აფხაზმა“** ეროვნულობის მნიშვნელობა.

# რუსეთმა პოლონეთს მკაცრი პასუხი გასცა

რუსეთის სახელმწიფო დუმამ პოლონეთის სეიმის მიერ 1939 წლის 17 სექტემბერს **„საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთზე აგრესიასთან დაკავშირებით“** მიღებული რეზოლუცია გაკიცხა. დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა პოლონეთის სეიმს შესაბამისი წერილი გაუგზავნა.

გაგზავნამდე წერილის ტექსტს კომიტეტი გაეცნო და უმეტესობამ მხარი დაუჭირა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ანდრეი კლიმოვის განცხადებით, წერილი შეიცავს **„მკაცრ ფორმულირებებს“**, მაგრამ,მისივე თქმით,სიმკაცრე პოლიტიკურ ისტერიაში არ უნდა ირეოდეს.

ვიდრე შესაბამის კომიტეტს ამ საპასუხო წერილის მომზადებას დაავალებდა, სახელმწიფო დუმის პირველმა ვიცესპიკერმა ოლეგ მოროზოვმა განაცხადა,რომ პოლონური რეზოლუცია **„იმ პოლონელების ძვლებზე ცეკვაა,რომლებმაც მილიონობით რუსთან, უკრაინელთან, ბელორუსთან ებრაელთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირეს სიცოცხლე“**. მანვე აღნიშნულ დოკუმენტს **„პოლიტიკური კონიუნქტურის მაამებელი ისტორიული სიცრუე“** უწოდა. დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლეონიდ სლუცკიმ კი დაამატა, რომ პოლონეთი მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაციის გზას დაადგა. რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება თვლის,რომ სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციას ამ დელიკატური თემის ტენდენციურობისა და პოლიტიზირების სახე აქვს, რაც ზიანს აყენებს რუსეთ-პოლონეთის ორმხრივ ურთიერთობებს.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ უკრაინის სეიმის მიერ მიღებულ დოკუმენტში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთისადმი განხორციელებულ ქმედებებს პირველად ეწოდა **„გენოციდი“**. დოკუმენტის ტექსტში ნათქვამია, რომ 1940 წელს კატინში პოლონელი ოფიცრების დახვრეტა **„სამხედრო დანაშაულია“**, რომელიც **„გენოციდის ნიშნებს“** შეიცავს. იმავე დოკუმენტში სეიმმა მკაცრად განსაჯა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში წითელი არმიის **„შეჭრა“** და ამ მოვლენას **„აგრესია და პოლონეთის მეოთხედ გაყოფა“** უწოდა.

როგორც ცნობილია,1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა ჯარი შევიდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებზე, რომლებიც პოლონეთს 1919-1921 წლების საბჭოთა-პოლონური ომის შემდგომ დარჩა და რომელთაც პოლონეთი საკუთარ ტერიტორიებად მოიაზრებდა. საბჭოთა ჯარის შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე პოლონეთის ხელისუფლება ვარშავაში უკვე აღარ იმყოფებოდა, 17 სექტემბერს კი რუმინეთში გადავიდა, საიდანაც ლონდონს შეაფარა თავი. ომისშემდგომმა პოლონურმა ხელისუფლებამ, სსრ კავშირთან შეთანხმებით, 1945 წელს დაამტკიცა ომის შემდგომი სახელმწიფო საზღვრები.

# ენდი გარსია მაგარ შარშია!..

გასული კვირის დასაწყისში რუსთაველის პროსპექტი ჰოლივუდის გადასაღებ მოედნად იქცა. ცნობილი ამერიკელი მსახიობის მონაწილეობით დაიწყო ფილმის გადაღება, რომელიც, როგორც ამბობენ, საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება.

რაც არ უნდა ამტკიცონ ხელისუფლებაში, რომ მომავალი ფილმი წმინდა წყლის კომერციული პროექტია და ხელისუფლება არაფერ შუაშია,ამ ზღაპრების ცოტას თუ სჯერა,რომც დავუშვათ და გამოვრიცხოთ ნაცების ფინანსური მონაწილეობა ამ ფილმში, ხელისუფლების დაინტერესება თუნდაც იქიდან ჩანს, რომ შარშანდელი 12 აგვისტოს სამარცხვინო ტაშფანდურის სცენის რეკონსტრუქციისთვის, ყვითელი ავტობუსებით ათასობით ახალგაზრდა მიუყვანეს ფილმის რეჟისორს რუსთაველზე და, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე,მუქთად აყვირეს **„მი-შა, მი-შა!“**

ენდი გარსია აშკარად შარშია, რადგანაც გარსიას მიშას გარსის მორგება დასჭირდება, ანუ, თუ სიმართლის პრეტენზია აქვთ ფილმის სცენარისტებს,ენდის მოუწევს ჰალსტუხის ღეჭვა და გორში მიწაზე გორაობა, რაც,ალბათ,კი არა,ნამდვილად გამორიცხულია, რადგანაც ენდი გარსიამ მისი **„გმირივით“** აღვარღვარა რუსთაველზე გლიცერინის ცრემლები და უმალ დატოვა საქართველო ისე, რომ გორის ციხისკენ არც გაუხედავს.

ისე,ჰოლივუდი რომ ოსტატია პროპაგანდისა და ისტორიული ფაქტების გაყალბებისა, ეს ყველას გვინახავს; თუნდაც მათი II მსოფლიო ომის თემაზე გადაღებული ფილმები რად ღირს,სადაც ისეა საქმე წარმოჩენილი, რომ ჰიტლერს ამერიკელებმა მოუგრიხეს კისერი,სტალინი და სსრკ არც კი ყოფილან.

აქედან გამომდინარე,არ გაუჭირდებათ,რომ კურდღლისგან ლომი,მხდალისგან მამაცი,მიშასგან გმირი გამოიყვანონ,მაგრამ იმ სამარცხვინო კადრებს სად წაუვლენ,რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიარა?

ამიტომ ენდის ის ურჩევნია,რომ ყალბ პროპაგანდას შეეშვას და საკუთარ იმიჯზე იფიქროს! ბოლოს და ბოლოს, კამოს როლს ხომ არ ასრულებს, რომ ნატურში ქაქი მიირთვას? ერთი ჰალსტუხის გაღეჭვა მოუწევს და გორში ცხვირით მიწის თხრა. ეგ არის და ეგ,თორემ მაგის გლიცერინის ცრემლების არავის სჯერა,რადგანაც მიშას გადამკიდე,დიდი ხანია, ხალხი ნამდვილი ცრემლებით ტირის და მოთქვამს.

გოკა გაბაშვილმა,რუსთაველზე ამერიკელი რეჟისორის ოსტატობით აღფრთოვანებულმა განაცხადა, უყურონ ჩვენმა რეჟისორებმა და ისწავლონ ფილმების გადაღებაო.

იმის მეათედი დაფინანსება მისცენ ჩვენს რეჟისორებს,რასაც ამერიკელებს უხდიან და ვის ვისგან ექნება სასწავლო,მაგას მთელი მსოფლიო ნახავდა,მაგრამ შინაურ მღვდელს როდის ჰქონია ჩვენში შენდობა?!

თავის დროზე რომ თავი წაგვაჭამეს, დავით აღმაშენებელზე ფილმი უნდა გადავიღოთო, როგორც ვიცით, ფინანსების უქონლობის გამო ჩაიშალა ეს საშვილიშვილო ამბავი,რას იზამ — საქართველოს დიდი მეფისთვის ფული არ არის,მაგრამ ნაცების მეფუკისთვის — რამდენიც გინდა — ეს, ისე, მცირე ლირიული გადახვევა.

გარსიას კი არა ალპაჩინო-დენირო რომ გადაიღონ სააკაშვილ-კეზერაშვილის როლში, ამათ მაინც არაფერი უშველის,რადგანაც, მოსკოვისა არ იყოს, არც თბილისს სჯერა ცრემლის.

მითუმეტეს — ენდი გარსიას სიაფანდი ცრემლებისა!

**დავით მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაღდასმულთა აბობოქრება საქართველოში

**"საქართველოს ეკლესიის და პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლამ პიკს მიაღწია"** – წერენ გაზეთები და აქვეყნებენ ცნობილ რეჟისორთა, მსახიობთა, პოეტთა, საზოგადო მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა გულიდან ამოსულ სიტყვებს ერთ-ერთი დაღდასმულის მიმართ: **"თეა თუთბერიძეს თუ ქუჩაში სადმე წავაწყდები, თმებით ვითრევ...", "თეა თუთბერიძეს ფეხსაცმელები რომ გახადონ, ჩლიქები აღმოაჩნდება"...**

ამაში კი ეჭვი მეპარება!

ეკლესიისა და პატრიარქის დასაცავად გამართულ ღონისძიებებზე განრისხებული ინტელიგენცია ლაპარაკობს **"თავისუფლების ინსტიტუტის"** და **"ნაცმოძრაობის"** საგანგებო, საიდუმლო მისიაზე: ეკონომიკურად გააპარტახონ საქართველო, გადააგვარონ ქართული სული, ეროვნული ცნობიერება, შავ ბედთან მებრძოლი ერი აქციონ მდიდარ უცხოელთა ხელისშემყურე, მეხსიერებადაკარგულ პირისფარეშთა უგუნურ მასად...

ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს **"ვარდების რევოლუციის"** ნაყოფია, რომლითაც **"თავისუფლების ინსტიტუტის"** და **"ნაცმოძრაობის"** შინაგან ბუნებას შევიცნობთ.

არც ამაში ეპარება ვინმეს ეჭვი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ **"ვარდების რევოლუციასაც"** ჰქონდა თავისი წინამიზეზი და წინაპირობები.

ეს მიზეზია 1991-92 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, რამაც ქართველ ერს თავს დაატეხა **"ვარდების რევოლუცია", "აღშფოთებული გონების საბედისწერო ომი"** ყოველივე ეროვნულის, თვით მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ინტერნაციონალის, ანუ თანამედროვე გლობალისტების ფარული ხელით.

მხარს ვუჭერ ჩვენი ინტელიგენციის სამართლიან ბრძოლას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დასაცავად, მაგრამ არა და არ მავიწყდება მწარე სიმართლე!

განა მათი საბრძოლო დამსახურება არ არის **"დიქტატორ"** გამსახურდიას **"რეჟიმის"** დამხობა, სანუკვარი დემოკრატიის დამყარება და სანეტარო შევარდნაძის თბილისში დაბრუნება?

ამ საბრძოლო დამსახურებების გამო აეროპორტში დახვედრილ ინტელიგენციას შევარდნაძემ დიდი მადლობა გადაუხადა იარაღის ხელში აღებისათვის და ამით, მისთვის ჩვეული ვერაგობით, ამ ინტელიგენციის მაშინდელ საქმიანობას კვალიფიკაცია მისცა.

საკვირველია, რატომ ივიწყებენ მადლობამიღებულნი იმას, რომ ეკლესიათა დარბევები შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მღებრიშვილის სპეცრაზმელებმა დაიწყეს!

რატომ ივიწყებენ, რომ შევარდნაძისდროინდელმა პრივატიზაციამ დააკანონა ქვეყნის სიმდიდრის დატაცება, რასაც შედეგად სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გაპარტახება მოჰყვა!

რატომ ივიწყებენ მეანაბრეთა ბოლშევიკურ ექსპროპრიაციას!

ეროვნული ხელისუფლების დამხობის დღიდან სტარტი მიეცა განათლების და ჯანდაცვის სისტემის მოშლას, ქართული ენის წახდენას, ქართული ყოფის ფარაჯანირებას, ტერიტორიების დაკარგვას, ასიათასობით ქართველის საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად გადაქცევას, მილიონი ქართველის უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვრად გადაკარგვას...

დღეს კი, **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ ანტიეროვნული იდეოლოგიით გულმიცემული ეს უბედურება თანაბარაჩქარებული მოძრაობით ფინალს, ანუ უფსკრულს გვაახლოებს!

არ შეიძლება მებრძოლმა ინტელიგენციამ არ იცოდეს ის, რომ სახელმწიფო გადატრიალება არის იმ უბედურებათა მიზეზი, რაც ქართველ ერს თავს დაატყდა 1991 წლის 22 დეკემბრიდან.

**მიზეზის არცოდნა, ან მისი შეგნებულად დამალვა, მისი შეცვლა ფსევდომიზეზებით უნაყოფოდ ხდის არსებული რეალობის შეცვლისათვის წარმოებულ ყოველგვარ ბრძოლას.**

ინტელიგენციის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს ეკლესიის, პატრიარქის წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანია ხელისუფლებას იმისთვის ჭირდება, რათა სახელი გაუტეხონ პატრიარქს, მის დიდ ავტორიტეტს ჩრდილი მიადგეს და ამით არსებობა გაიხანგრძლივონ.

ინტელიგენციის მეორე ნაწილი კი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას რუსეთის სპეცსამსახურების ბნელ საქმიანობას უკავშირებს.

არც რუსეთი და არც პატრიარქის ავტორიტეტი არაფერ შუაშია. **საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს მასონური დასავლეთის დოქტრინის ცხოვრებაში გატარების პროცესი.** გავიხსენოთ დალესის დოქტრინა: **"ყურადღებას ვამახვილებთ ახალგაზრდებზე, გავრყვნით და გავხრწნით მათ – გადავაქცევთ ჩვენი გავლენის აგენტებად, კოსმოპოლიტებად..."**

არ არის საჭირო სხვა დირექტივების მოშველიება. აბსოლუტური სიზუსტით მიმდინარეობს საქართველოში დალესის დოქტრინის ყველა პუნქტის რეალიზაცია 1991-92 წლების შემდეგ. ამიტომაც დაიგეგმა ოკეანის გაღმა ეროვნული ხელისუფლების დამხობა.

შევარდნაძემ სახელმწიფო გადატრიალებისთანავე მაღალ პოსტებზე არაპროფესიონალები დანიშნა. როდესაც ამ უმეცარმა ახალგაზრდებმა ხელისუფლებაში ფესვი გაიდგეს და ადაპტაციაც დასრულდა, ამასობაში შევარდნაძის პოლიტიკით უკმაყოფილებამ მოსახლეობაში პიკს მიაღწია.

დასავლეთში დაიწერა **"სცენარი"**, რომლის მიხედვით მოხუც მელას **"აიძულებდნენ"** გადადგომას, ხოლო რევოლუციის მომხდენი ახალგაზრდები ხალხის თვალში გარკვეული დროის მანძილზე გმირებად იქცეოდნენ. გრანდიოზული სპექტაკლის დადგმა მასონთა ფულებით განხორციელდა. უნდა ითქვას, რომ მთავარი როლები ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა (გამართლდა ჩვენზე ნათქვამი – არტისტული ბუნებისანი არიანო), მხოლოდ ეგ არის, მოსახლეობა დარჩა პირში ჩალაგამოვლებული.

**ის დაღდასმული ახალგაზრდობა**, რომელთა შესახებ ალენ დალესი ლაპარაკობს და რომლებიც საქართველოში უკვე ლეგიონია, **ქართველ ერს ანტიქრისტეს აღსაყდრებისთვის ამზადებენ.**

კვლავ ერთი ამონარიდი დალესის დოქტრინიდან: **"ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ამოვძირკვავთ სოციალურს არსს, შემოქმედებით ინტელიგენციას დავუკარგავთ ხალისს, გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები... ლიტერატურა, თეატრი, კინო, პრესა – ასახავენ და განადიდებენ ადამიანის ქვენა გრძნობებს, ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობის კულტს".**

**"როცა, ახლა, ამ სტრიქონს ვწერ"**, ტელეეკრანიდან მონაბერი გადაცემა **"პროფილის"** წამყვანის დახმარებით ერთობ **"ჭკუის სასწავლი"**, სულისთვის **"სასარგებლო"** ამბებს ვისმენ. სნობურ-მეშჩანურ ღადავს, ვითომ იუმორს, შიგადაშიგ სტუმართა შემოქმედებიდან ნაწყვეტებს ურთავენ. **სექსი, პორნოგრაფია, ძალადობა – აი, მთელი მათი ნაღვაწარი! მიმდინარეობს ფარაჯანირების პროცესი**. თუმცა, ერთი რამ მართლაც გამეხარდა: ახალგაზრდა შემოქმედმა განაცხადა, რომ შეუყვარდა სექსუალური ინგა გრიგოლია. ჯერ არავისთვის უთქვამს, არც ინგასთვის, პირველად ტელემაყურებლებს გვახარა! ღმერთმა ბედნიერად ამყოფოთ, რა თქმა უნდა, თუ სექსუალური ინგა ასევე სექსუალურ მიჯნურს, თანამედროვე ენით – პარტნიორს, სიყვარულითვე უპასუხებს!

ახლა კი, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, პირველ სტერეოზე **"სეიშენის"** კონცერტით ვტკბები. დალესის გოგო-ბიჭების სვირინგები, ჩაცმა-დახურვა, გარეგნობა, როკვა, მუსიკა და საერთოდ **"სეიშენის"** სული ანტიქართული რომ არის, ეს ცხადია. ცხადია ისიც, რომ იგი არც ჩინურია, არც რუსული, არც მავრიტანულ-ზანგური... **იგი სატანისტურია! უეროვნებო სატანის ნამოღვაწარი!**

აუარება შოუტაკიმასხარაობებს, დაწყებული **"ვანოს შოუდან"** დამთავრებული **"შუა ქალაქით"**, წითელ ხაზად გასდევს სოციალური არსის, ცხოვრების ფილოსოფიური გააზრების არარსებობა, ტელემაყურებლების ყურადღების გადატანა არარსებითზე, ვითომ იუმორით შეზავებულ ყურით მოთრეულ ყოფით ამბებზე... ღადავი... შაყირი... ლაზღანდარობა... მახსოვს, ერთხელ პაატას მოკვეთილი თავი შემწვარ გოჭს შეადარეს!

აღარას ვამბობ უამრავ უცხოურ ტელესერიალებზე, სადაც გარყვნილების, ღალატის, ძალადობის, სექსის პროპაგანდა უმაღლეს დონეზეა!

**აწ ჯოჯოხეთში მყოფი დალესი ვერ წარმოიდგენდა ამ პატარა, ტრადიციების მიმდევარი, კავკასიური მენტალიტეტის, უძველესი კულტურის და ქრისტიანობისთვის თავდადებულ საქართველოში ამდენი მიმდევარი თუ ეყოლებოდა.**

**ლეგიონის მათი სახელი!**

ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ თავის დროზე პირველმა ამხილა მასონი შევარდნაძე. იგი დღესაც პირდაპირ ლაპარაკობს **აშშ**-ს ადმინისტრაციის ფარულ გეგმებზე, მაგრამ სამწუხაროდ, მებრძოლი ინტელიგენციიდან და ოპოზიციის ლიდერთაგან ცოტა თუ იზიარებს მის სიტყვას.

ჩვენი პოლიტიკოსების წარა-მარა ვაშინგტონში სირბილი საკუთარი პარტიული საქმეების მოსაკვარახჭინებლად, მოსახლეობაში თანდათან ბადებს იმის რწმენას, რომ ჩვენ კი არ ვირჩევთ საკუთარ პრეზიდენტს, არამედ ამერიკა. **ეს კი ხელს აძლევს უცხო ქვეყანას...**

დალესის ქვეყნის, **აშშ**-ს მიერ ხელდასხმულ მიშა პირველს, მიშა მეორეს და **N** რაოდენობის მიშიკოებს შორის, მერწმუნეთ, განსხვავება მხოლოდ **სქესში** იქნება. მოგვიანებით კი, დემოკრატიის სუფევისას, სავსებით **შესაძლებელია განმასხვავებელი ნიშანი სქესთან ერთად კანის ფერიც იყოს! გიხაროდენ, იბერიელნო!**

რუსი ერარქი ანატოლი წერს: **"შეერთებული შტატების ცრუ-მ 150 მილიონი დოლარი დახარჯა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სულიერ აგრესიაში და ჩვენს ქვეყანას ლავასავით მოაწყდა სხვადასხვა ჯურის ანტიმართლმადიდებლური მოქადაგე-მოძღვრები, რომლებმაც დააარსეს მრავალი სექტა და სკოლები..."** (Иеромонах Анатолий (Берестов) **"Число зверя"**, Москва, 1996г.).

**"აგრესორი"** რუსეთი სულაც არ არის დაინტერესებული საქართველოში მართლმადიდბლობის დასუსტებით, რადგან თვით რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია საფრთხის წინაშე დგას.

მასონობა ცდილობს თავისი ბნელი მიზნები განახორციელოს ჰუმანიტარული, კულტურულ-განმანათლებლური და აღმზრდელობითი ორგანიზაციების სახელით. იგი ინიღბება, მაგრამ გამარჯვებაში თავდაჯერებულნი ცნობილი მასონები ზოგჯერ საჯაროდ აცხადებენ თავიანთ ხვაშიადს: **"ძირს ჯვარცმული! მისი მეუფეობა დასრულდა! ღმერთი აღარ არის საჭირო!", "ვიდრე ეკლესიას არ მოვსპობთ, შედეგიან მუშაობას ვერ შევძლებთ", "ჩვენ, მასონები, ლუციფერის მოდგმისანი ვართ!"** (ციტატები წიგნიდან **"სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა"**, ტ.V, 1995წ.).

მასონთა საიდუმლო მიზანია ქრისტიანობის აღმოფხვრა, სახელმწიფოთა მოსპობა და გაერთიანებულ კაცობრიობაში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. განსაკუთრებით ებრძვიან მართლმადიდბლობას, რადგან იგი მასონებისათვის რჩება **"ლოდად დაბრკოლებისა"** თავისი დოგმატებით და კანონებით, რომლებიც სხვა რელიგიებთან აღრევისაგან იცავს.

საქართველოში, სადაც სოროსის ძუძუნაწოვი **"თავისუფლების ინსტიტუტი"** მართლმადიდებლობას ებრძვის, ამ ბრძოლის მიზანი არამც და არამც არ შეიძლება დავაკნინოთ, იგი პიროვნების ავტორიტეტის შელახვის მცდელობაზე დავიყვანოთ, ანდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონკრეტულ გამოვლენად მივიჩნიოთ.

საქმე გვაქვს გლობალურ მოვლენასთან – დედამიწაზე მცხოვრები ერებისა და არსებულ სახელმწიფოთა გაერთიანება ერთი მსოფლიოს მმართველის ძალაუფლების ქვეშ. იგი იქნება ბიბლიაში ნაწინასწარმეტყველები **"კაცი იგი უშჯულოებისა, შვილი წარსაწყმედლისა"** ანტიქრისტე, დანის ტომიდან.

ასეთი გაერთიანების შედეგი იქნება ერებისა და სახელმწიფოების გაქრობა, ეროვნული კულტურის მოსპობა...

ამ მიზნის მისაღწევად ამხობენ ეროვნულ ხელისუფლებას და არა მარტო საქართველოში. დამხობის საბაბი კი ყოველთვის და ყველგან ერთია – დიქტატურა და დემოკრატიის არარსებობა!

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში ბნელ ძალებს აშკარად ეხმარებოდა როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, ასევე იმ ინტელოგენციის დიდი ნაწილი, რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიას იცავს. ფაქტობრივად მათმა ძირგამომთხრელმა მუშაობამ, ცილისწამებამ, პოლიტიკურმა ბეზღობამ, იარაღის ხელში აღებამ, უარყოფითი ემოციებით განპირობებულმა იმპულსურმა ქცევებმა, არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ იოლი გახადა მასონთათვის მიზნის მიღწევა. მათ მხოლოდ ფული დახარჯეს, რაც უთვალავი აქვთ.

იბერიელნო! რატომ ვისჯებით ასე სასტიკად?

იმიტომ ხომ არა, რომ გულში ღრმად ვიმარხავთ და არა ვცხოვრობთ წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის მორალური იმპერატივით: **"...როცა საქმე აშკარა უკეთურობასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვერიდოთ, არც დროისა და ხელმწიფეთა მოთხოვნებს დავემორჩილოთ, მით უმეტეს – არამც და არამც არ ვეზიაროთ მზაკვრულ დვრიტას, არ უნდა მივემთხვიოთ სენშეყრილს! ყველაზე დიდი ცოდვაა ღმერთზე მეტად გვეშინოდეს რაიმესი, და ამ შიშის გამო ვღალატობდეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებას!"**

იბერიის სულსა და სხეულს სასიკვდილო რგოლებად შემოხვეულ ჰიდრას მხოლოდ ჰერაკლეს მახვილი და ცეცხლოვანი მუგუზალი ჰკლავს!

ძველ იბერიელთა მიერ ბოროტის განადგურების მისტერია, ცეცხლით და მახვილით, მეორდება ახალ აღქმაში: **"ყოველმან ხემან, რომელმან არ ჰყოს ნაყოფი, მოიკუეთოს და ცეცხლსა დაედვას"** (მათე, 7.19); **"ვერ ხელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღება, და არცა ხესა ხენეშისა ნაყოლი კეთილად ყოფა"** (მათე, 7.18).

კეთილი კეთილს შობს, ბოროტი – ბოროტს. ამიტომ მოგვიწოდებს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისას ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვერიდოთო!

ნუ ვიქნებით ბოროტის მიმართ **"ყოვლად მთმენი... ყველა მუნჯი... გულჩვილი და ლმობიერი"!**

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**მცხეთის ანდრიაპირველწოდებულის სახელობის სასულიერო სემინარიის ყოფილი პედაგოგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

# ოთარ ფაცაცია: იურა ხიხინაშვილი მოღვაწე და ყოველთვის გამორჩეული პიროვნება იყო, მიხარია, რომ შვილებიც მამას დაემსგავსნენ

*მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ზუგდიდი წარმოუდგენელი იყო მეტად კოლორიტული პიროვნების – იურა ხიხინაშვილის გარეშე. ზუგდიდში, ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ქართველი ებრაელები. ისინი ზუგდიდში მრავლად არ იყვნენ, მაგრამ თავიანთი ხიბლი შეჰქონდათ ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში.*

*ამ ებრაელთაგან გამორჩეული პიროვნება გახლდათ იურა ხიხინაშვილი. მასში თავმოყრილი იყო ქართულ-ებრაული საუკეთესო თვისებები, რაც მას ზუგდიდელთა შორისაც გამოარჩევდა.*

*როგორც ებრაელთა უმეტესობა ისიც ვაჭრობით იყო დაკავებული. მის მაღაზიაში ყველაზე საუკეთესო საქონელი იყიდებოდა და, რაც მთავარია, ეს მაღაზია ყველა გაჭირვებულისთვის გაჭირვების ტალკვესი იყო. არ ყოფილა თურმე შემთხვევა, რომ იურასთან ვინმე სათხოვნელად მისულიყო და უკან გაწბილებული გაბრუნებულიყო. უფროსი თაობის ზუგდიდელები მას ახასიათებენ, როგორც გულკეთილ, გულმოწყალე, სტუმართმოყვარე, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომ ადამიანს. იური ხიხინაშვილი ნამდვილი ნეგოციანტი იყო, ოღონდ საბჭოთა კავშირის ფარგლებში, რადგან უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების უფლება საბჭოეთში მაშინ მხოლოდ ერთადერთ, სპეციალურ სავაჭრო უწყებას "ვნეშტორგს" ჰქონდა მინიჭებული. ეს დღეს ფიქრობენ ახლადგამომცხვარი "კომერსანტები", რომ ვაჭრობა აღებ-მიცემობის უმარტივესი ფორმაა, თორემ, კომერციაში ღრმად ჩახედულმა სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ამ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია ბაზრის კონიუნქტურის დეტალური შესწავლა, ფასწარმოქმნის სისტემათა მაღალოსტატურად გათვლა და შემოტანილი საქონლის გადანაწილება ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად, უპირველესად მოსახლეობის ყიდვისუნარიანობის გათვალისწინებით. სწორედ ასეთი "გათვლების" დიდოსტატი გახლდათ იურა ხიხინაშვილი, რომელსაც შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა როგორც ამა თუ იმ საქონელზე მოსალოდნელი დეფიციტი, ასევე სამომხმარებლო ბაზრის გადატვირთვა ზედმეტი საქონლის შემოტანით.*

*მაგრამ, ამგვარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ პოტენციური დამნაშავეების სიაში იყვნენ შეყვანილი და მათზე ხელისუფლება მკაცრ კონტროლს ახორციელებდა. ყოველ წამს შეეძლოთ მათი დაკავება და მამასისხლად ნაშოვნი, ხალხისათვის უაღრესად საჭირო საქონლის კონფისკაცია. ამიტომ, მაშინდელ კომერსანტს გარდა ვაჭრობის მოსალოდნელი შედეგისა, უნდა შესძლებოდა "ობხს"-ის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. აი, როგორი ეკონომიკური და იდეური ბარიერების გადალახვა უწევდათ იმ მძიმე ჟამს ვაჭრობის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს, რომელთა შორის აშკარად გამოირჩეოდა იურა ხიხინაშვილი.*

*საზოგადოება „ზუგდიდელის“ ვიცე პრეზიდენტი კარლო ვეკუა რამდენიმე წლით უმცროსი იყო იურა ხიხინაშვილზე, მაგრამ ეს არ უშლიდათ ხელს მეგობრობაში.*

**კარლო ვეკუა**, საზოგადოება **„ზუგდიდელის“** ვიცე-პრეზიდენტი:

„იურა ხიხინაშვილზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. კარგი კაცის სახელი ჰქონდა. მცირე შემოსავლების იმედად მყოფ ხალხის ძირითად მასას მაშინ საკმაოდ უჭირდა და მასთან მაღაზიაში ათასი ჯურის მთხოვნელი შედიოდა დახმარებას თხოვნით. მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირადად იცნობდა თუ არა, მათ. იურა ხიხინაშვილი ყველას ერთნაირიი გულისყურით ეხმარებოდა. ზუგდიდელები აღფრთოვანებული ვიყავით ამ ადამიანის გულისხმიერებით.

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო. შემოდგომის ერთ დღეს, დილით მაღაზიაში მისულ იურას იგი მილიციის მიერ დალუქული დახვდა. მაშინდელ ხელისუფალთ გადაეწყვიტათ მისი შემოწმება, რისი ძირითადი მიზეზიც, ეჭვსგარეშეა, რომ ფულის გამოძალვა გახლდათ. იურა ძალიან შეწუხებული იყო – ნამდვილად არ ელოდა, თუ ამას გაუკეთებდნენ ის ადამიანები, ვიზედაც მას საკმაოდ დიდი ამაგი ჰქონდა. მაგრამ, მაშინ ვაჭრობის სისტემაში ხალხის შემოწმების გეგმას ადგილობრივი ხელისუფლება განსაზღვრავდა და როდესაც რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანის უსულ-გულო მექანიზმი ჩაირთვებოდა, იქ მტერ-მოყვარის გარჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ, ყველას ეგონა, რომ იურა ხიხინაშვილი რაიმე შეთხზული ბრალდების მსხვერპლი გახდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა – მისმა კაცობამ თავისი საქმე გააკეთა – საკმაოდ დარცხვენილმა მილიციის თანამშრომლებმა მაღაზია რამდენიმე საათში გახსნეს.

იურა ხიხინაშვილს ორი სამშობლო ჰქონდა – საქართველო და ისრაელი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნებით ებრაელი იყო, ვერავინ გაბედავდა მისთვის ეთქვა – ქართველი არა ხარო. მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც მასიურად დაიწყო ებრაელების ისრაელში გადასვლა, იურამაც გადაწყვიტა თავის ისტორიულ სამშობლოს დაბრუნებოდა, ამიტომ წინასწარ იზრუნა იმაზე, რომ აქ დაგროვილი კაპიტალი ისრაელის ბანკებში გადაერიცხა. ეს მაშინ ძნელი გასაკეთებელი იყო. დაუკავშირდა ერთ გავლენიან პიროვნებას, რომელიც დაჰპირდა ამ საქმის მოგვარებას. ეს კაცი აღმოჩნდა მასთან სპეციალურად მიგზავნილი სუკის აგენტი და იურა მოატყუა. ასე დაეკარგა მას მთელი ცხოვრების მანძილზე შეგროვებული მოკრძალებული, მაგრამ შავი დღისათვის გადანახული კაპიტალი".

**გივი ხურცილავა:** „მე იურა ხიხინაშვილის გვერდით შერეული საქონლის მაღაზიაში ვმუშაობდი. ის იმ დროს აშკარად ჭკვიანი და წარმატებული კომერსანტი იყო. დღეს – ზუგდიდში იყო, ხვალ – მოსკოვში გაემგზავრებოდა, ზეგ – კრასნოიარსკში ჩაფრინდებოდა, ჩამოჰქონდა კარგი საქონელი, ისეთი, რაც სხვას არ ჰქონდა. მთელი საბჭოთა კავშირის საქმიან წრეებში იცნობდნენ, დიდ პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ. მაშინ ნაღდი ფულის ხელით ტარება საშიში იყო, რადგან კომუნისტები ამას მძიმე ეკონომიკურ დანაშაულად მიიჩნევდნენ, ამიტომ, მის სიტყვას ენდობოდნენ და ხშირად ფულის წინასწარი გადახდის გარეშე აძლევდნენ დიდძალს საქონელს, რადგან იცოდნენ, რომ იურასაგან ღალატი კატეგორიულად გამორიცხული იყო. საკუთარ თავს დააზარალებდა, მაგრამ სხვას კაპიკს არ დაუკარგავდა.

**კოტე ხარებავა:** მე **„ზუგდიდვაჭრობის“** სისტემაში ვმუშაობდი და ძალიან ახლოს ვიცნობდი იურა ხიხინაშვილს. ის ჩვენს სისტემაში იყო ყველაზე მოწესრიგებული პიროვნება – სახელმწიფოგეგმას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა, მასთან ვერანაირ დარღვევას ვერ აღმოაჩენდი.

ყველა ებრაელს ხომ მიდრეკილება აქვს ვაჭრობის მიმართ, მაგრამ მას რაღაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. სხვებსაც ეხმარებოდა, ჩამოჰქონდა საქონელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და სხვა მაღაზიებსაც უნაწილებდა. ახლა რომ ცოცხალი იყოს, ალბათ, ყველაზე ძლიერი ბიზნესმენი იქნებოდა საქართველოში.

**ოთარ ფაცაცია:** ხიხინაშვილებს ზუგდიდში ყველა იცნობდა. მეც ბავშვობიდან მოყოლებული მახსოვს მათი დიდი ოჯახი, უპირველეს ყოვლისა კი, – იური.

ვიდრე კონკრეტულად ამ პიროვნებაზე ვისაუბრებ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი, ჩემი აზრით, ერთ დამახასიათებელ მომენტზე ძველი ზუგდიდის ისტორიიდან.

შეიძლება, ბევრმა არც იცის, რომ პატარა მდინარეს, რომელიც ზუგდიდთან მოედინება, ადგილობრივები **"კუჩხობონუს"** ეძახიან. მეგრულ ენაზე ეს სახელწოდება ფეხის დაბანას ნიშნავს.

სოფლებიდან ქალაქში წამოსული ადამიანების უმეტესობა შიშველი ფეხით მოდიოდა, რადგან ფეხსაცმელს უფრთხილდებოდნენ. გზები უმეტესად გრუნტის იყო, მტვრიანი ან ტალახიანი. თავმოყვარე ადამიანი კი ქალაქში დასვრილი ფეხებით არ შემოაბიჯებდა. ჩამოსხდებოდნენ მგზავრები მდინარის ნაპირზე, დაიბანდნენ მოგზაურობით დატალახიანებულ-დამტვერილ ფეხებს, მოიწესრიგებდნენ ტანსაცმელს, საგანგებოდ წამოღებულ ფეხსაცმელს ჩაიცვამდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდოდნენ ზუგდიდ-ქალაქში.

იმ მძიმე ჟამს ფეხსაცმელი თითქმის ყველასათვის პრობლემა იყო, კარგი კი – დეფიციტი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ფეხსაცმელს ვერ იშოვიდი, და რომც გეშოვა, ვერ იყიდდი უსახსრობის გამო.

ეკონომიურად ძალიან უჭირდა ხალხს.

იური ხიხინაშვილი შეეშველა ზუგდიდელებს **„ფეხსაცმლის პრობლემის“** გადაჭრაში.

იმ დროს ძველი ავტოსაბურავები უამრავი ეყარა ქალაქში და მათ რაიმე მიზნისთვის გამოყენებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

უსარგებლო ნარჩენები იყო.

ყველას ასე მიაჩნდა, გარდა იური ხიხინაშვილისა. სწორედ მან დაადგა ამ **„ნედლეულს“** თვალი და ებრაული გამჭრიახობით შექმნა ფეხსაცმლის უნიკალური მოდელი, მარტივი, მაგრამ პრაქტიკული.

ტერფის საშუალო სიგრძეზე დაიჭრებოდა საბურავი, ნაპირები დაუთხელდებოდა, გაუკეთდებოდა ზონარის გასაყრელი ხვრელები, ამოიცვამდი ქალამანივით და შეიკრავდი ზონარებს.

განსაკუთრებით ზამთარში და შემოდგომაზე **„მოდაში“** იყო ეს **„მაგუია“,** როგორც ხალხმა შეარქვა და რომელიც რუსული **могу и я**-დან მოდის – მეც შემიძლიაო. მალე მთელ საქართველოს მოედო ხიხინაშვილის გამოგონება და ახლა გადაყრილი, ავტოსაბურავები იქცა დეფიციტად.

ასეთი გამჭრიახობით იყო გამორჩეული ხიხინაშვილების გვარი.

იურის განსაკუთრებით დავუახლოვდი 1957 წლიდან, როცა პარტიულ სამუშაოზე დამაწინაურეს. იქიდან მოყოლებული სულ ჩემს თვალსაწიერში იყო. მუშაობდა საბჭოთა ვაჭრობის სისტემაში, ძაფსახვევ ქარხანაში და ყველგან გამოირჩეოდა როგორც საქმის შესანიშნავი ორგანიზატორი და დიდი პირადი პასუხისმგებლობის მქონე მუშაკი, ამიტომაც მოიპოვა ზუგდიდელთა სიყვარული და პატივისცემა.

გამოვყოფ მის ერთ თვისებას – ქველმოქმედებას. ამაში თანამოქალაქეები დამემოწმებიან.

იურა ხიხინაშვილი მოღვაწე და გამორჩეული პიროვნება იყო ყოველთვის და მიხარია, რომ შვილებიც მამას დაემსგავსნენ. როგორც ვიცი, მისი სამი ვაჟი საზღვარგარეთ მოღვაწეობს – მოსკოვსა და ისრაელში და სერიოზული ბიზნესიც აქვთ.

**P.S. იურა ხიხინაშვილი ზუგდიდში დაიბადა და გაიზარდა, საუკეთესო პიროვნება იყო, პურმარილიანი, მეგობრებს გადაყოლილი ქველმოქმედი, ყველას უყვარდა ზუგდიდში. გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ. ოჯახის წევრებიდან და ახლო ნათესავებიდან ზუგდიდში მას არავინ არ დარჩა, მაგრამ დარჩა სახელი დიდებული კაცობისა. იურასთანა პიროვნებები ბევრი დააკლდა ზუგდიდს. არა და ასეთი ადამიანები ჰაერივით სჭირდება ნებისმიერი პერიოდის სამოქალაქო საზოგადოებას.**

ლადო ქირია

# შექსპირიადის გამოძახილი, ანუ ჩარეცხილი ადამიანი-მეტრო

*ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,*
*რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,*
*რადგან არარამ შეიფარა ძვირფასი ფარჩა,*
*რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,*
*რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,*
*რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,*
*რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,*
*რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.*
*რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,*
*რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,*
*რადგან სიმართლეს სისულელედ ითვლება ახლა,*
*რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა...*

შექსპირი, 66-ე სონეტი.

*არა მგონია ეს სიტყვები იმდენად ესადაგებოდეს შექსპირის ეპოქას, რამდენადაც აქტუალურია იგი დღევანდელ საქართველოში. მართლაც გენიოსი უნდა იყო ადამიანი, რომ ასე ზუსტად განჭვრიტო შენთვის უცნობი სახელმწიფოს რამდენიმე საუკუნისშემდგომი მომავალი. დალოცვილ უილიამს სახელები და გვარები არ ჩაუწერია თავის სონეტში, თორემ ასე ზუსტად ჩვენს დღევანდელ უბედურებას თანამედროვე პოეტიც კი ვერ აღწერს. ქვეყანაში, სადაც ღირსეულ და ღვაწლმოსილ ადამიანებს "ჩასარეცხთა" კატეგორიას მიაკუთვნებენ, ხოლო კახპებსა და სექსუალურად ორიენტაციადაკარგულ ახალგაზრდებს ღირსების ორდენებით აჯილდოებენ, ზედმეტია მაღალ ზნეობრივ კატეგორიებზე საუბარი. ამიტომაც შიმშილობენ მცირე პენსიას მიჩერებული დამსახურებული ადამიანები, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე სახელმწიფოს აღმშენებლობას მოანდომეს, მაგრამ "ნაცმოელთა" მტკიცებით ხომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება და რატომ უნდა ჰყავდეთ პატივში ის ადამიანები, რომლებიც კომუნისტურ სახელმწიფოს ახმარდნენ ძალისხმევას (თითქოს ამ კომუნისტური "გადმონაშთების" ძარცვა-გლეჯითა და ქურდობით არ იშოვეს ჯერ "მოქკავშირის", შემდეგ კი "ნაციონალთა" მესვეურებმა მილიონები). დღეს სწორედ ერთ-ერთ ასეთ "ჩარეცხილზე" – ქართული მეტროს ამაგდარზე, ინჟინერ აბესალომ ყურაშვილზე მოგითხრობთ.*

## ადამიანი მეტრო

დღეს აბესალომ ყურაშვილი რიგითი პენსიონერია, რომელიც თვიდან თვემდე ელის ნაციონალთაგან დამადლებულ 85 ლარს (ახლახან 5 ლარი მოემატა).

იგი 1927 წელს დაიბადა სოფელ შილდაში, წარმატებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი და პირველი პროფესიული პრაქტიკა ბაქოში, მეტროს მშენებლობაზე გაიარა. წარმატებული ახალგაზრდა ინჟინერი შემდეგ პოლონეთში მიავლინეს, სადაც მეორე მსოფლიო ომისას გერმანელთა მიერ დანგრეული 380-მეტრიანი



გვირაბის აღდგენაზე მუშაობდა.

1952 წლიდან ამესალომ ყურაშვილი თბილისის **"მეტრომშენში"** გაანაწილეს ცვლის ინჟინრად, მალე კი უბნის უფროსის მოადგილედ დააწინაურეს. ააშენა მეტროს სადგურები **"26 კომისარი"** (ახლანდელი **"ავლაბარი"**), **"ლენინის მოედანი"** (**"თავისუფლების მოედანი"**), მაგრამ ხრუშჩოვის კაპრიზების გამო თბილისში მეტროს მშენებლობა დააკონსერვეს და ყურაშვილს სანიაღვრე არხების მშენებლობა დაავალეს მიცკევიჩის, პეკინის, საბურთალოსა და სანაპიროს ქუჩებზე. 1959 წელს **"მეტრომშენის"** მთავარ ინჟინრად დანიშნეს. ამის შემდეგ ყურაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შენდება მეტროსადგურები **"პოლიტექნიკური"**, **"სამედიცინო"**, მიწისქვეშა გადასასვლელები თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, ზემელზე, ვაკეში და ნაძალადევში.

1962-1973 წლებში ალექსანდრე ყურაშვილი ტრანსპორტის სამინისტროს გვირაბმშენებელი სამმართველოს უფროსი იყო, მუშაობდა თბილისის **"ინჟმშენის"** ტრესტის უფროსად, მშენებლობის მინისტრის მოადგილედ და კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

– ერთი ხანი **"მეტრომშენში"** დამაბრუნეს. გეგმები ბევრი იყო, **"ვაჟა-ფშაველას"** მეტროსადგური დღემდე დაუმთავრებელია, იგეგმებოდა სხვადასხვა სადგურების აშენება, მეტრო რუსთავამდე უნდა ჩასულიყო, ელიავაზე ორი სადგური უნდა აშენებულიყო. **"რუსთაველიდან"** ხაზი გადასასვლელით უნდა დაკავშირებოდა კრწანისს, მაგრამ ყველაფერი შეაჩერეს...

2007 წელს ამაგდარ სპეციალისტს 80 წლის იუბილე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან მოულოცეს – მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან... იგი მხოლოდ საქართველოში არ გახსენებია არავის.

მეუღლე რამდენიმე წლის წინათ გარდაეცვალა. მაშინ მას საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ყოფილმა მინისტრმა დაურეკა, მიუსამძიმრა და დაკრძალვისათვის საჭირო ფულადი დახმარებაც გაუწია. თბილისში კი თავი არავის შეუწუხებია.

დღეს მხცოვანი ადამიანი 85-ლარიანი (ალბათ უკვე 90-ლარიანი) პენსიით ირჩენს თავს, რომელიც თავისი და ჯანმრთელობაშერყეული ქალიშვილის წამლების ფულადაც კი არ ჰყოფნის. სახელმწიფოსაგან არანაირი დახმარება არ მიუღია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქალაქის მუნიციპალურ ტრანსპორტში – ავტობუსსა და მეტროში სამგზავრო უფასო 10-თეთრიანი ბარათი მისცეს. ხომ გაგიგიათ, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო...

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ყვარლის მიწისქვეშა მარანი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, აბესალომ ყურაშვილის აშენებულია. ასევე მის სახელს უკავშირდება არაერთი ხიდსაცავი და ფაბრიკა.

მას არაერთხელ აქვს მიღებული სიგელი და ორდენი, არის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ათგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი. მაგრამ ეს წარსულია, ნაციონალების **"ბელადის"** მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით კი საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება. ამიტომ არ აინტერესებს ხელისუფლებას აბესალომ ყურაშვილისა და ათასობით მასავით დამსახურებული ადამიანების ბედი. ამიტომაც დადის დღენიადაგ ფიქრს მიცემული ინტელიგენტი ადამიანი 35 წლის წინ შეძენილი კოსტუმით. მაგრამ დადის ამაყად, თავაღერილად, იმიტომ, რომ არასოდეს არაფერი დაუნგრევია, მთელი თავისი სიცოცხლე მშენებლობას შეალია და ააშენა ისე მყარად, რომ დღესაც ვერ მოუხერხებიათ მისი დანგრევა თანამედროვე მანქურთებსა და ყოველივე ლამაზის მოძულე ხელისუფალთ.

დღეგრძელობა გვისურვებია ამაგდარი ადამიანისათვის!

## როგორ გაცვალეს ჯიქია პოლიტკოვსკაიაში

***მაგრამ, როგორც ირკვევა, დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ ცოცხალ დამსახურებულ ადამიანებს კი არა, თურმე დიდი ხნის წინათ დაღუპულ ღირსეულ მამულიშვილებსაც ებრძვის და საკმაოდ დიდი "წარმატებითაც".***

***ახლახან თბილისის სამ უბანში ქუჩებს სახელები გადაარქვეს. დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით ფასანაურის ქუჩას სოფიკო ჭიაურელის სახელი მიენიჭა, ნოვოროსიისკის ქუჩას – რუსი რეჟისორის ოლღა კონსკაიას სახელი, ვლადიმერ ჯიქიას ქუჩას კი ანა პოლიტკოვსკაიას სახელი ეწოდა. ტრაგიკულად დაღუპული ამ ჟურნალისტი ქალის გაბედულება და თავგანწირვა ნებისმიერი ქვეყნისათვის სამაგალითოა, მაგრამ არც ისეთი რამ უნდა ჩაიდინონ ადამიანებმა, რომ შემდეგ მომავალი თაობების წინაშე თავის მართლება მოუწიოს.***

ვინ იყო ვლადიმერ ჯიქია?

იგი გახლდათ ინჟინერი, სპეციალისტი, რომელმაც ააშენა **რიონჰესი**, გახლდათ ქართული კულტურის დიდი ქომაგი და დამცველი, ქველმოქმედი, გაჭირვებულთათვის შვება და იმედი. თვით ადამიანთა ქებაში უაღრესად სიტყვაძუნწ კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს ერთხელ ვლადიმერ ჯიქიაზე – საქართველოს ასეთი ბელადი სჭირდებაო.

მისი თანაგიმნაზიელი სიმონ ყაუხჩიშვილი იხსენებდა: **"ვალოდია მოსწავლეთა თავკაცი იყო, ყველას ქომაგი და მომხმარე. ეჯავრებოდა მეფის ბიუროკრატი მოხელეები. ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს მხედველობიდან არ გამორჩენია ჭაბუკის განწყობილება – მერვე კლასიდან გარიცხეს. მაგრამ იგი აღადგინეს სასწავლებელში, ჩინებულად ჩააბარა გამოცდები და გიმნაზიაც ერთად დავასრულეთ".**

რევოლუციისშემდგომ პეტროგრადში ჯიქია სამხედრო კომისარი იყო და მას იოსებ სტალინი დიდ პატივს სცემდა. ვლადიმერ ჯიქია ქართული ჯარის შექმნაზე ოცნებობდა, უნდოდა, ქართული არქიტექტურა განვითარებულიყო, ქართული ენა სახელმწიფო ენა ყოფილიყო, რასაც მიაღწია კიდეც.

ვლადიმერ ჯიქია თაყვანს სცემდა ყველაფერს, რაც საქართველოს გაძლიერებას, ქართული სულიერების გაღვივებას ემსახურებოდა. თუ ვინმეს ნიჭიერებას შეამჩნევდა, უანგაროდ ეხმარებოდა. არასოდეს საუბრობდა გაკეთებულ სიკეთეზე. უამრავი კეთილი საქმე მასთან ერთად უხმაუროდ წავიდა ისტორიის კუთვნილებაში...

საშინელებაა იმის წარმოდგენა, რომ ყველაფერი სიმბოლურია ამ ქვეყნად, რომ ადამინაი შიმშილით უნდა აღესრულოს, რომ ჯიქიას სახელი უნდა აღიგვას პირისაგან მიწისა. გაზეთ **"კვირის პალიტრის"** ერთი პუბლიკაციისა არ იყოს, ქვეყანას, სადაც გვაქვს სახელმწიფო ხაზინის, მიტინგის, კონსტიტუციის, ნიაღვრის, სანერგის და სხვა ზოგადსახელიანი ქუჩები, რა საჭიროა მაინცადამაინც ვლადიმერ ჯიქიას ან რეზო ლაღიძის სახელობის ქუჩებისათვის სახელის გადარქმევა. არადა, თბილისის საკრებულოს, რომელმაც დავიწყების სუდარა მიაფარა ღვაწლმოსილი ადამიანის ხსოვნას, თავმჯდომარეობს მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზაალ სამადაშვილი, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს თუ რას ნიშნავს ღირსეულ წინაპართა ხსოვნისადმი პატივისცემა.

უნდა იცოდეს, მაგრამ არ იცის!

ამგვარი მკრეხელობა ხომ შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყანაში, სადაც **"უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად..."**

ვაი თუ, სამუდამოდ...

**რ. შალამბერიძე**



საგამომცემო სახლმა **"ინოვაცია" საქართველოს** მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა პროფესორ ოთარ ქაჯაიას წიგნი **"მეგრულ-ქართული ლექსიკონი"**, IV (დამატებანი – 604 გვერდი), რომელიც წარმოადგენს ამავე ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული **"მეგრულ-ქართული ლექსიკონის"** (სამტომეულის: ტომი I, 2001 წელი, ტომი II და ტომი III, 2002 წელი) გაგრძელებას, უფრო სწორად, მის შევსებასა და სრულყოფას. **"დამატებანში"** შეტანილია ბევრი სრულიად ახალი აიტყვა და გამოთქმა, რომლებიც მოძიებულია სამტომეულის გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში დასტამბული ტექსტებიდან (პოეზია, პროზა), ზეპირსიტყვიერებიდან ან სხვა გზით მოძიებული მასალებიდან; იდიომებითა და ფრაზეოლოგიზმითაა გამდიდრებული საილუსტრაციო მაგალითები. ამასთან, დაზუსტებულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის სემანტიკა; ბევრ პოლისემიურ სიტყვასთან მითითებულია სრულიად ახალი მნიშვნელობებიც და ა.შ.

ერთი სიტყვით, ამ გამოცემამ ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა ბევრი აქამდე უცნობი მეგრული სიტყვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ **"დამატებანს"**, მართალია, აწერია IV, მაგრამ, ფაქტობრივად, ის მეოთხე ტომი არ არის; აქ უმთავრესად აღნუსხულია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო სამტომეულში ვერ მოხვდა.

**"დამატებანში"**, უთუოდ, საინტერესო მასალებს იპოვნიან საქართველოს ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით, რელიგიის ისტორიით, ზოოლოგია-ფიზიოლოგიით, ბოტანიკით თუ მეცნიერების სხვა დარგებით დაინტერესებული მკითხველები.

გაზეთ **"ილორის"** რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

მეორე ნაწილი სენაკისა, ზუგდიდის შოსეს მარცხენა მხარეს მდებარე სულ სხვა ხასიათის მცხოვრებლებით იყო დასახლებული. ამათ დიდი მებატონენიც ერივნენ, ბატონიშვილები, თავადი დადიანები, და ამიტომ ჯერ იმათს შესახებ ვიტყვი.

პირველი, ახალხორის, მამული ელიზბარ ბატონიშვილს ეკუთვნოდა; იმის სასახლეში, როგორცა ვთქვით, დროებით იდგა ნ. კოლუბიაკინი. ელიზბარს ხუთასი კომლი აზნაური და გლეხი ჰყავდა სხვა-და-სხვა კატეგორიისა და ნამდვილი ბატონი იყო ყველაფრით. ცოლად წულუკიძის ქალი ჰყავდა. ცოლ-ქმარმა არცერთმა იცოდა რუსული, მაგრამ შვილები კი გაეგზავნათ ქუთაისსა და ტფილისში სასწავლებლად, და როცა ჩვენ სამეგრელოში შემოვედით, ორი მათგანი ერევნის პოლკის ოფიცრებად იყვნენ უკვე, სხვები კი ჯერ კიდევ სწავლობდნენ. სამი ქალი ჰყავდათ, სამივე ლამაზები. ამათგან ორი გათხოვილი იყო და შინ მარტო უმცროსი, ცამეტი წლის ჯაჰანა ჰყავდათ (რომელიც შემდეგ თავად ვახტანგ გურიელს გაჰყვა ცოლად). ელიზბარის სასახლე მაღალი ორსართულიანი იყო, ქვითკირისა, საშვილისშვილოდ აშენებული, უბრალოდ. მთელი ოჯახი, მოხუციდან მოყოლებული, განსაკუთრებულის გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით გვეპყრობოდა რუსებსა; ჩვენთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო ასეთ მემამულის სასახლეში ყოფნა, რომელსაც არავინ უჩივოდა, რადგან თვითონაც არავის აწყენინებდა და არავის უჩივოდა. ლაპარაკი არ უყვარდა, თავი ღირსეულად ეჭირა. ყველა პატივსა სცემდა. თავის ოჯახში უფროსი ის იყო და თავის შვილებს ყოველთ უწინარეს პატიოსნური მიმართულება მისცა.

მის მამულის შემდეგ მკითხველისათვის უკვე ნაცნობი ქვაშხორი იწყებოდა, რომელიც მის ძმისწულს, კნეინა მენიკი (მარიამ ნიკოლოზის ასულს) შარვაშიძეს, ეკუთვნოდა. მენიკი ერთად-ერთი შვილი იყო ნიკოლოზ ბატონიშვილისა (ელიზბარის უფროსის ძმისა). მისი სილამაზე ერთ დროს განთქმული იყო (მისი ნაწნავები იატაკზე ერთ მეტრზე დასთრევდა). უკვე მოხუცებაში იყო შესული, რომ იმერეთის თავადისშვილს წულუკიძეს მისთხოვდა. მააგრამ ერთ წელსაც არ გაუვლია, რაღაც ავადმყოფობისაგან ქმარი მოუკვდა და ისევ მამის სახლს დაუბრუნდა. ქმარი რომ მოიგლოვა და ხალხს ეჩვენა, აფხაზეთის მთავარს ძალიან მოეწონა და ცოლობა სთხოვა. დაიწერეს ჯვარი. აფხაზეთის მთავარმა ერთი თვე ქვაშხორში გაატარა თავის ცოლთან და მერე აფხაზეთში წავიდა, სადაც ლოდინი დაუწყო თავის მეუღლესა, რომელიც იმის შემდეგ უნდა წამოსულიყო, როცა მამა მენიკისა, ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, თავისას ქალის მზითევს გაუგზავნიდა. ერთი ქარავანი მზითევი მოვიდა კიდეც აფხაზეთში, მაგრამ უკმაყოფილება ასტყდა. მიხეილმა სთქვა, გამოგზავნილი ცხენები არაფრად არ ვარგა და დანარჩენი ნივთებიც, რომ მითხრეს, ის არ არისო. პირველი ქარავანი მზითვისა მიხეილმა უკანვე გამოაბრუნა და სიმამრს დიდი საყვედური შემოუთვალა. სიძე-სიმამრს შორის უსიამოვნება ატყდა. მიხეილი თავისსას გაიძახოდა, ნიკოლოზი კიდევ თავისას, არც ერთი უთმობდა, არც მეორე. ეს უსიამოვნება ერთი წელიწადი მეტი გაგრძელდა. ბოლოს, მიხეილმა, რომლისთვისაც კანონი და სამართალი არ არსებობდა, შემოსთვალა ქვიშხორში, მენიკი აღარ მინდა ცოლად, მე უკვე სხვა ცოლი შევირთე, გიორგი ბატონიშვილის ქალიო. ასე და ამგვარად, ქმარსა და მამას შორის უმნიშვნელო რაზედმე ატეხილ დავის წყალობით მენიკი ქმრისაგან თავმინებებული დარჩა. ნიკოლოზმა ვერ გაუძლო სიძისგან ასეთ გალანძღვას, ავად გახდა და გადაყვა კიდეცა. სიკვდილის წინ ანდერძი დასტოვა, რომლის ძალით მისი ქონება მენიკსა რჩებოდა სიცოცხლეში, მერე კი ელიზბარზე უნდა გადასულიყო. ძნელი ასახსნელია, რად დასტოვა ნიკოლოზმა ასეთი ანდერძი. მაგრამ თავისს ქალს იცნობდა, დამოუკიდებელი ხასიათის არ არისო, და ალბად, ეშინოდა, ვაი თუ მიხეილმა რაიმე ეშმაკობა იხმაროსო, მით უფრო, რომ თუმცა ასე აშკარად უღალატა მიხეილმა, მენიკს მაინც უყვარდა და უკან მისტიროდა. ასეთმა უბედობამ, რა თქმა უნდა, გააანჩხლა, ჭკუაგონებაც შეურყია. რაც ხანი გადიოდა, რაღაც უცნაური ხდებოდა. მთავრობასთან უჩივლა მიხეილ შარვაშიძეს და ეს საჩივარი იმით-ღა გათავდა, რომ 12.000 მანეთიდან, რომელიც პენსიად ეძლევოდა აფხაზეთის მთავარს, ერთ ნაწილს, მგონი, სამ თასს, უჭერდნენ და იმას აძლევდნენ. ბიძა ელიზბარსაც წაეჩხუბა და სულ იმის ცდაში იყო, ჩემი ხუთასი კომლი ყმა ჩემს სიკვდილს შემდეგ იმას არ ერგოსო. idee fixe-დ გადაექცა ესა და რას არა შვრებოდა, რომ საწადელისათვის მიეღწია როგორმე. ჯერ იფიქრა, ჩემს ქონებას მთავარს დავითს ვაჩუქებო, ანგარისმოყვარე კაცია, დახარბდება და გამომართმევსო; მაგრამ დავითმა იცოდა ნიკოლოზის ანდერძი და, თუმცა გემრიელი ლუკმა იყო, მაინც უარი სთქვა, ანდერძს არ გავსტეხავო. მაშინ ვიღაც ქუთაისელმა აბლაკატმა,– ასეთი აბლაკატვეზირები კნეინას ყოველთვის ჰყავდა სასახლეში, – ურჩია, ხაზინას შესწირეთ თქვენი ქონებაო, და როცა თავადმა ვორონცოვმა სამეგრელო ინახულა, მენიკი მივიდა მასთან და მოახსენა – ხაზინისათვის შემიწირავს ჩემი მამულიო. ვორონცოვს პირველად გაუკვირდა ასეთი უხვი შემოწირულება, ხოლო როცა გაიგო, რომ ასე ადვილად კნეინამ თავისი კი არა, სხვისი ქონება მაჩუქაო, ალერსიანის ღიმილით უთხრა: სხვა რასმე საქმეს მოჰკიდეთ ხელი, მშვიდობით განლიეთ დღენი თქვენნი თქვენს მამულში და მოწყალებას გასცემდეთო, გაჭირვებულთ გაიკითხავდეთო. ახლაც გაუცუდდა იმედი; მაგრამ მენიკი გულს არ იტეხავდა და იმნაირივე ხერხი იხმარა ვორონცოვის შემდეგ მოსულ მღავარმართებლებთან ნ. მურავიოვსა და ბარიატინსკისთან. რა თქმა უნდა, ვერც ამათთან გახდა რასმე. თავის თავს კი დიდად ავნო, ამიტომ რომ აბლაკატების დასაქირავებლად და ტფილისსა და ბორჯომში წასასვლელად დიდძალი ფული ეხარჯებოდა. ხოლო ამ ფულის საშოვნელად იძულებული იყო გაეყიდნა მამისგან დარჩენილი მოძრავი განძეულობა, როგორც მაგალითად: ძვირფასი იარაღი, ოქრო და ვერცხლეულობა. რაც რამ ებადა, ზოგი დააგირავა, ზოგიც გაჰყიდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მოვალეები ბატონებად გაუხდნენ. მიუხედავად ამისა, თავის თავი ვითომ დედოფლადა ჰყავდა წარმოდგენილი, რაკი მთავრის მეუღლე იყო, ქედმაღლურად ეჭირა თავი. თან, რიცხვმრავალი ამალა ახლდა, სასახლიდან რომ გამოვიდოდა, ალისფერი საწვიმარი ესხა ტანზე, ოქრომკედით ნაკერი; ამალაში მისი მოძღვარიც ერია, სულმუდამ მწვანე ანაფორიანი. ვისიმე მიღების დროს, მეტის-მეტ ეტიკეტებს მისდევდა, სხვა-და-სხვა ოთახებში დაყენებული ჰყავდა მთელი გროვა თავის აზნაურებისა კამერგერებად. ყოველივე ეს სასაცილოც იყო და სამწუხაროცა.

როცა, როგორც ოლქის უფროსი, პირველად მივედი მენიკის სასახლეში, შესანიშნავად დამიხვდნენ. კნეინა მეორე ოთახში მომეგება, რაიცა უკვე ბევრსა ნიშნავდა, შემიყვანა მესამეში, თითონ მეფის ტახტის მსგავს სავარძელში ჩაჯდა და მე თავის პირდაპირ დამსვა. თითონ რუსული არ იცოდა და თარჯიმანის საშუალებით მელაპარაკებოდა.

– მე შენ კარგად გიცნობ, – დაიწყო კნეინამ: – შენ ნიკოს (დავითის შვილი) მასწავლებელი) იყავი; ვიცი, კარგი აზნაური ხარ.

ამით, ერთსა და იმავე დროს, უნდოდა ჩემთვის თავისი დიდებულება ეჩვენებინა, რადგან, მისის აზრით, ჩემისთანა აზნაურები ათობით და ოცობითა ჰყავდა, და, მეორეს მხრით, თავი უნდა მოექონა ჩემთვის – **"კარგი"** აზნაური ხარო. მე, რა თქმა უნდა, მადლობა მოვახსენე, რომ ასეთის კარგის აზრისა ბრძანებულხარ ჩემზედა-მეთქი.

მართალია, ნაკლუვანება ჰქონდა კნეინას, მაგრამ მეტის-მეტი სტუმართ-მოყვარე იყო და საუცხოვო გემრიელ სადილებს გვაჭმევდა ხოლმე.

ქვიშხორს იქით ერთ ვერსზე დაბა ახალსენაკი იყო, ჩემი მომავალი რეზიდენცია, სადაც სახლს ვაშენებინებდი საოლქო სამართველოსათვის. აქვე ვაშენებინებდი აგრეთვე სატუსაღოს და ყაზახ-რუსების სადგომ ყაზარმებს. სენაკში ბაზარი იყო, რამდენსამე რიგად ხის დუქნები ჰქონდა ჩარიგებული და კარგი ვაჭრობაც იყო გაჩაღებული; ყოველ პარასკევს ყველა მხრიდან მოდიოდნენ სოფლელნი თავიანთის ნაწარმოების გასასყიდად. წელიწადში რამდენიმე ბაზრობა იმართებოდა.

სენაკს იქეთ ვამეყ დადიანის (ელიზბარის ძმის) შვილები – გოგია, ალექსანდრე და ლევან დადიანები – სახლობდნენ. ამ ბუნაგს კარგი სახელი არა ჰქონდა. თითონ ვამეყ რამდენსამე წლის წინად მისი სიმკაცრისათვის გლეხებმა მოჰკლეს, ხოლო შვილების შესახებაც ცუდ რასმე ამბობდნენ: ქურდების მფარველები არიანო. სამივე ძმა ჯერ ისევ ახალგაზრდები იყვნენ, სწავლობდნენ ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწავლა არ დაუმთავრებიათ და მამის სიკვდილის შემდეგ სახლში დაბრუნდნენ, სოფელ კოტიანეთში. თავის სოფლიდან იშვიათად გამოდიოდნენ. ცუდი განწყობილება ჰქონდათ როგორც ელიზბართან, ისე მენიკთან და მეორე ბიძა კაციასთან, მათს ახლობელ მეზობელთან.

კაცია დადიანი, ელიზბარის მეოთხე ძმა, ხან კოტიანეთში სცხოვრობდა და მომეტებულად კი ზუგდიდის ოლქის სოფელ ჯვარში. შარების მოყვარე კაცის, ქარაფშუტა და ძალზე ძუნწის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ყველანი კაცია-გიჟს ეძახდნენ. კაციას სრულებით არ ჰგავდა მისი შვილი მელიტონი, რომელიც ქუთაისში სწავლობდა და მერე ქუთაისშივე შევიდა სამსახურში. ნ. კოლუბიაკინმა, როცა აქეთკენ რუსის მმართველობა შემოვიდა, მელიტონი ზუგდიდის ოლქის უფროსის თანაშემწედ დანიშნა. თავმდაბალი და მშვიდობის მოყვარე მელიტონი ძალიან შევიწროებული ჰყავდა მისს თავქარა მამას, რომელიც, თავისი სიძუნწის წყალობით, ადრე გროშ-კაპეიკს არ აძლევდა, ახლა კი მის ჯამაგირს ნახევარზე მეტს თვითონ ართმევდა. კოწია ერთ დროს მთავრის დიამბეგი ყოფილა. ახლა შვილს არა შორდებოდა, უნდოდა თავისი ძველი დრო დაებრუნებინა და აქაო და ჩემი შვილი ოლქის უფროსის თანაშემწეაო, ცდილობდა ყველასთვის ჩაეგონებინა – მეც ძალა მაქვს და მასარგებლეთ, მეც ყველაფერში დაგეხმარებითო. მელიტონისათვის ადვილი არ იყო თავი დაეღწია დესპოტ მამის თვითნებობისათვის და მართლაც გასაოცარი იყო, როგორ უთმენდა ამდენს! ის კი არა, პატივისცემითაც ეპყრობოდა სულელ მამას. ეს სასაცილო მამა-შვილი სულმუდამ ერთად დადიოდნენ. გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტმა რომანოვმა, რომელმაც ფრანგული უკეთ იცოდა, ვინემ რუსული, და რომელსაც ოხუნჯობა ძალიან უყვარდა, ერთხელ მშვენივრად იოხუნჯა ამის შესახებ: **"a-t-on jamais vu une soincidence aussi barroque: Mirliton, que est fils d,Accacia"** ("სწორედ უცნაური ამბავია: აკაციისაგან სალამური გაკეთებულა"). ეს ოხუნჯობა ყველას საშინლად მოეწონა, ყველა ამას იმეორებდა და მელიტონს აკაციის შვილს ეძახდნენ. მეგრელებიც კი ამ სახელს ეძახდნენ მელიტონს. მართლაც კალმით დახატული იყო მელიტონის ცოლი, თავად ჩიჩუას ასული, მაგრამ ქმარი ეჭვიანი იყო და არავის აჩვენებდა.

კოტიანეთს იქით ქალაქი იყო, სადაც ბატონიშვილებში ყველაზე შეძლებულად თავადი არჩილ დადიანი ითვლებოდა. არჩილი დაახლოებული მრჩეველი და დიდი მეგობარი იყო განსვენებულის მთავრის ლევანისა. მთავარი დავითი და მისი ოჯახიც დიდს პატივსა სცემდა არჩილსა. არჩილის სახლი დიდი არ იყო. ისიც რუსულ სახლების სახით ჰქონდა აშენებული. არჩილი შუა ტანისა იყო, სამოცდაათი წლისა. ჯერ ისევ მხნე, წელში ერთი ბეწოთი არ იყო მოხრილი. ცისფერი თვალები ჰქონდა, დავერცხლილის მსგავსი, თმა თეთრი, სქელი, გრძელი და ხუჭუჭა, – მის სილამაზეზედ რჩებოდა თვალი კაცსა. მეტად ზრდილი და თავაზიანი იყო, თავის თავი ყოველთვის ღირსეულად ეჭირა – და ყოველივე ეს, ერთად შეხამებული, მეტად უხდებოდა მის მშვენიერ ტიპსა. კოლუბიაკინი ფრანგების მარკიზს ეძახდა. სამეგრელოს სამმართველოს საბჭოში ორი კაცი თავადიშვილების მხრიდან უნდა ყოფილიყო, და გენერალმა არჩილს უთხრა, ერთ-ერთი იმათგანი, თქვენა ბრძანდებოდეთო; მაგრამ მოხუცებულმა თავადიშვილმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, არ შემიძლია ვიკისროვო, მთავრობისაგან მუქთად ფულს არ ავიღებ, და სულ საბჭოში დასწრება და საქმეთა გარჩევა ჩემისთანა მოხუცს არ შეუძლიაო.

არ გამოვუდგები ჩამოთვლას სხვა ბატონიშვილების სამოსახლოებებისას, რომელნიც სერების გაყოლებაზე მდებარეობდნენ მდინარე ტეხურისა და აბაშის ზემო ნაწილში, სოფელ სალხინომდე; აქეთკენ უკვე ჩამოთვლილ და მართლა მდიდარ მემამულე დადიანებივით შეძლებული დადიანთაგანი არავინ ერია. ხსენებულ ბატონიშვილების ხელში იყო ორიათას კომლზე მეტი აზნაური და გლეხი. მათ ეკუთვნოდათ მთელი ზეგანი სოფელ შხეფიდან სოფელ სალხინომდე. ამ ზეგანზე მოსული ღვინო საუკეთესო ღვინოდ ითვლება არამც თუ სამეგრელოში, არამედ თითქმის მთელს კავკასიაში. შხეფში, თამაკოს, ნახუნუს, სკურდუს, თარგამოულს, აბედათს, უშაფათში საუკეთესო ღვინო დგებოდა და ყველაზე უკეთესი – **ოჯალეში** მთავრის ვენახებში, სოფელ სალხინოს მოდიოდა. დადიანები ისეთის მამულების პატრონები იყვნენ, სადაც ვაზი მშვენივრად ხარობდა, პური, თუთუნი, აბრეშუმი უხვად მოდიოდა. და, რა თქმა უნდა, არც არაფერი აკლდათ. ყმებს მოჰქონდათ ღვინო, პური, მატყლი, აბრეშუმი, თუთუნი, მოჰყავდათ ცხვარი, ფრინველი, ძროხა. მხოლოდ ძვირი იყო ფული. მდიდარ კაცად ის ითვლებოდა, ვინც ვაი-ვაგლახით ხუთასს ან ათას თუმანს მოუყრიდა ერთად თავს, ფული, რა თქმა უნდა, ვერცხლისა და ოქროსი იყო, და ვისაც ჰქონდა, ცხრაკლიტულში ინახავდნენ. ყოველ დიდ უქმეებში მათი სასახლეები სტუმრებით იყო სავსე; იმერეთიდან მოსული სტუმრებიცა ჰყავდათ ხოლმე. ღვინო აუარებელი იხარჯებოდა; შინაური ფრინველი, ცხვარი და ძროხა დიდძალი იკვლოდა. ვისაც სუფრაზედ ხშირად ჰქონდა ხორცი, იმაზე იტყოდნენ – მდიდარიაო, და ელიზბარ ბატონიშვილზე ამბობდნენ ისე შეძლებულია, ყოველ კვირა თითო ძროხასა ჰკლავსო. ყველა ბატონიშვილს საკუთარი ეკლესია ჰქონდა, თავისი მღვდელი, მდივანი, მოურავი, ვინმე აზნაურთაგანი, და ზოგჯერ ექიმიც ჰყავდა. სასახლეში ურიცხვი მოსამსახურე იყო, ყველას მიჩენილი ჰქონდა თავთავისი საქმე და მამის სამსახური შვილიშვილზე გადადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

## ქიმიის მეცნიერების კორიფე: პროფესორ აკაკი გახოკიძის გახსენება

პროფესორ აკაკი გახოკიძის ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა რიგი წლების განმავლობაში ქიმიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა. პროფესორმა აკაკი გახოკიძემ მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ სფეროდ შაქრების ქიმია შეარჩია. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს,ჩვენი საყვარელი კაკო მეცნიერულ ურთიერთობასა და პირად დამოკიდებულებაშიც შაქარივით ტკბილი კაცი იყო. აღნიშნავს აკადემიკოსი ქრისტეფორე არეშიძე.

ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლედ წარმოვაჩინოთ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერ-ქიმიკოსი. მართლაც რომ შაქარივით ტკბილი კაცი, პროფესორი აკაკი გახოკიძე,მარტვილის მიწა-წყლის შვილი, რომელმაც თავისი ორიგინალური აღმოჩენებით გაამდიდრა ქიმიის მეცნიერება. მისი საყვარელი დარგი იყო ნახშირწყლების ქიმია. მიუხედავად ამისა, პარალელურად მან ნავთობის ქიმიაშიც დაიწყო მუშაობა.

პროფ. აკაკი გახოკიძეს, როგორც ამას აღნიშნავს აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე, ეკუთვნის სინთეზის ორიგინალური მეთოდი,რომელიც მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში **„გახოკიძის სინთეზის“** სახელწოდებით არის ცნობილი.

ქართველ ქიმიკოსთა საყოველთაო აღიარებით,პროფესორ აკაკი გახოკიძის გამოკვლევებმა, დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1961 წელს, აღნიშნავს აკად. სერგი დურმიშიძე, ქ. ვენაში ჩატარდა საერთაშორისო კონგრესი ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში. საქართველოდან მიწვეული ვიყავით ბატონი აკაკი, აკადემიკოსი პეტრე ქომეთიანი და მე. ბატონი აკაკი ავადმყოფობის გამო კონგრესს ვერ დაესწრო. კონგრესის გახსნამდე ჩვენთან მოვიდა გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი კარლ ფრეიდენბერგი და იკითხა, სად არის საბჭოთა დელეგაციაო. ჩვენ თავი წარვუდგინეთ. მე პროფესორ გახოკიძეს ვეძებო. მან პირველმა მსოფლიოში განახორციელა ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზი,რაც მე და ჩემმა მასწავლებელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ემილ ფიშერმა ვერ შევძელითო. აი, ამ აღმოჩენამ, მოუპოვა პოპულარობა ბატონ აკაკის მსოფლიო მასშტაბით. ახალი ტიპის დისაქარიდების სინთეზის განხორციელებით,პროფ. აკაკი გახოკიძემ,წინ წასწია ქიმიის მეცნიერება.

მეცნიერების ისტორიაში, აღნიშნავს პარიზის მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,პროფესორი ვახტანგ პარკაძე.

ჩვენ გვყავს ისეთი პიროვნებები, რომელთა ყოლას ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე ერები ინატრებდნენ. ასეთი პიროვნებაა აკაკი გახოკიძე. მის შრომებს ობი არასოდეს მოეკიდება.

უდავოდ დიდია გეოგრაფიული არეალი დიდი მეცნიერის – პროფესორის აკაკი გახოკიძის მეცნიერული ნაშრომებისა. აი,ის ქვეყნები,სადაც ისევ და ისევ კვლავ გრძელდება მისი შრომების ციტირება. ამერიკა, ინგლისი, გერმანია, ჩეხეთი, რუსეთი, ინდოეთი და ა. შ. რომელი ქვეყნის მეცნიერთა ნაშრომებში არ ნახავთ ამ ქართულ გვარს, ბრძანებს აკად. ვახტანგ პარკაძე.

კვლავ აკად. ვახტანგ პარკაძეს თუკი დავესესხებით, პროფ. აკაკი გახოკიძე საოცრად გონებამახვილი,დიდი ნიჭითა და ფანტაზიით დაჯილდოვებული მეცნიერი იყო. ამასთან დაკავშირებით, აკად. ვახტანგ პარკაძე იხსენებს ერთ-ერთ ფაქტს. ბატონმა აკაკი გახოკიძემ საინტერესო კვლევა ჩაატარა საქართველოს მცენარეული საფარის შესწავლის მიზნით. მან მცენარე გლედიჩიისგან, რომელიც მაშინ კამოს ქუჩაზე მდებარე ქიმიის ინსტიტუტის ეზოში იზრდებოდა (სადაც მაშინ ბატონი აკაკი მუშაობდა), გამოყო ორი პიგმენტი და მათ აკრამერინი და ოლმელინი უწოდა. მეცნიერმა შეისწავლა ეს პიგმენტები, დაადგინა მათი სტრუქტურა,სინთეზურადაც მიიღო და კვლევის შედეგები სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოაქვეყნა.

ამ შრომებიდან ოცი წლის შემდეგ,ინდოეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, შაჰარდიმ აკრამერინი და ოლმელინი სხვა მცენარეებიდანაც გამოყო და წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს ინდოეთში: გთხოვთ, დაუკავშირდეთ დოქტორ გახოკიძეს და გაიგოთ, რა ლათინური საფუძველი დაედო აკრამერინისა და ოლმელინის სახელწოდებებსო.

საფუძველი კი ქართული და თანაც პირადული იყო: პიგმენტ აკრამერინის სახელწოდება მეცნიერის, მისი ვაჟიშვილისა და მეუღლის სახელების პირველი მარცვლებისაგან წარმოდგება (აკაკი, რამაზი, მერი).

რაც შეეხება პიგმენტ ოლმელინს,ის მეცნიერმა თავისი მშობლების ოლიასა და მელიტონის პატივსაცემად **„მონათლა“**.

ეს ნივთიერებები ფართოდ მოიხსენიება დღესაც სამეცნიერო ლიტერატურაში მათი აღმომჩენისა და პირველშემსწავლელის მიერ შერქმეული სახელწოდებებით... (აკად. ვახტანგ პარკაძე).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შაქარივით ტკბილი კაცი ბრძანდებოდა პროფ. აკაკი გახოკიძე,რასაც,აგრეთვე აღნიშნავს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პროფ. ალექსანდრე ღლონტიც:

**– პროფ. აკაკი გახოკიძე იყო მეცნიერი და უზარმაზარი მოქალაქე. შეიძლება მეცნიერი იყო და მოქალაქედ არ ვარგოდე. მე მაგონდება ერთი წაკითხული წიგნი ანტუან ლავუაზიეს შესახებ, სადაც ავტორი წერდა: ლავუაზიესთვის ფრანგ ხალხს არ დაუდგამს ძეგლი,მან თვითონ დაიდგა ძეგლი, ეს ძეგლი მთელი ქიმიააო. ბატონ აკაკი გახოკიძეს ჩვენ ვერ დავუდგით შესაფერისი ძეგლი. მან თვითონ დაიდგა ეს ძეგლი. ეს გახლავთ მისი შესანიშნავი შრომებია,რომლებიც რჩება ქართული მეცნიერების მემკვიდრეობად.**

პროფესორ აკაკი გახოკიძეს,ნახშირწყლების ქიმიის პირველ ქართველ მკვლევარს დიდი წვლილი მიუძღვის ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში. როგორც აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე წერს, საყოველთაოდ აღიარებულმა და ბრწყინვალე მეცნიერმა პროფ. აკაკი გახოკიძემ, მიიღო სტრეპტოციდის და ასპირინის წყალში ხსნადი ფორმები. პირველმა გამოიყენა ნახშირწყლები სხვადასხვა წამლის ტოქსიკურობის შემცირების და მათი მოქმედების აქტიურობის გაზრდის მიზნით. შემდგომში ამ მიმართულებამ ფართო გამოყენება პოვა ფარმაცევტულ და სამედიცინო გამოკვლევებში. (აკად. ეთერ ქემერტელიძე).

გახოკიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა მეცნიერთათვის. მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობა, აღნიშნავს პროფ. აკაკი გუნცაძე, ის თესლია, რომლისგან აღმოცენებული ნაყოფი საუკუნეების მანძილზე თაობათა მუდმივ საკმევლად იქცა.

მე მქონდა ბედნიერება, იხსენებს პროფ. აკაკი გუნცაძე, ბატონ აკაკი ხელმძღვანელობით დამემუშავებინა სიმინდის ნაქუჩიდან შაქრის მიღების მეთოდი,რომელსაც უნგრეთში იყენებენ ლიმონათის წარმოებაში...

მეცნიერების ისტორიის განვითარება დიდად არის დამოკიდებული ორიგინალურ მოაზროვნეებზე. როდესაც პროფესორი გიორგი მაჭარაძე მეცნიერების ისტორიის საკითხებს ეხება, აღნიშნავს, რომ **„მეცნიერების ისტორიას ისეთი ფიგურები ქმნიან და ამშვენებენ, როგორც პროფესორი აკაკი გახოკიძე იყო“-ო.**

პროფესორ აკაკი გახოკიძის უდიდეს ღვაწლს ქიმიის მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით,მაღალ შეფასებას აძლევს,საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი შოთა სიდამონიძე. იგი ბრძანებს: **„პროფესორმა აკაკი გახოკიძემ ღრმა ხნული გაავლო ქიმიურ მეცნიერებას, თავისი მაძიებელი და ანალიტიკური გონების წყალობით გაასწრო დროს“-ო.**

გარდა ქიმიისა, სათანადო წყაროებიდან ცნობილია, რომ ბატონი აკაკი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. ამავე დროს,როგორც ყველა ნაღდი ქართველი, იგი შესანიშნავი თამადა ბრძანდებოდა. მისი იდეალი ბედკრული საქართველო იყო. პროფესორი კარლო ბლაგიძე წერს: ბატონი აკაკი იყო დიდი პატრიოტი. მას საქართველოს მომავალი სწამდა და აღნიშნავდა, რომ **„საქართველომ უნდა მიაღწიოს დამოუკიდებლობას, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ და სულიერ-კულტურულ დარგში“**-ო. პროფესორ აკაკი გახოკიძეს არც ღირსება აკლდა და არც სერიოზულობა,ამასთან ერთად,იგი იყო დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, მგზნებარე პატრიოტი და ჰუმანისტი.

ასეთი დიდი პატრიოტები,ჰუმანისტები და მამულიშვილები სჭირდება დღევანდელ საქართველოს. გაზეთ **„მარტვილის“** რედაქტორი, ბატონი ფაუსტი ნადარაია და ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ბატონი ჯამბულ ხუროძე,ერთხმად აღნიშნავენ: **„ვინ იცის, სრულიად საქართველოსათვის რამდენი სასახელო შვილი აღუზრდია გიორგი ჭყონდიდელის, იოანე მინჩხის და ამბროსი ხელაიას ოდაბდეს – მარტვილს. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეულია პროფესორი აკაკი გახოკიძე”**.

ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს და ყოველთვის პატივისცემით შეინახავს დიდი მეცნიერის, პედაგოგის და მამულიშვილის – პროფესორ აკაკი გახოკიძის ხსოვნას.

ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოს ინტელიგენტიის მოთხოვნით, მარტვილის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მიენიჭა პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი.

ბატონმა აკაკი გახოკიძემ, როგორც საოცარი ენერგიისა და მაღალი ერუდიციის მკვლევარმა, დიდი ნიჭის პატრონმა და თავის დარგში მუშაობით გატაცებულმა ადამიანმა, წერს აკად. გიორგი ციციშვილი, შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი. მისი მეუღლე გახლდათ,ასევე ქიმიკოსი ქალბატონი მერი გაბუნია. **„დიდი ქიმიკოსები“** – ასე ჰქვია წიგნს, რომლის ავტორები არიან ალექსანდრა და შტეფან სენკოვსკები. წიგნი მკითხველებს მოუთხრობს იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ქიმიის მეცნიერება პოლონეთში. წიგნის თარგმანი ეკუთვნის ქალბატონ მერი გაბუნიას.

სამეცნიერო სამყაროში ფართოდ არის ცნობილი პროფ. აკაკი გახოკიძის შვილი,ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ გახოკიძე. ასევე ქიმიური მეცნიერების გზას გაჰყვა ბატონ რამაზის შვილი,დიდი აკაკი გახოკიძის გზის გამგრძელებელი – აკა გახოკიძე. არის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, წერს ლექსებს, გამოცემული აქვს ლექსთა კრებული.

ასეთია მოლედ, პროფ. აკაკი გახოკიძის, ქიმიის მეცნიერების კორიფეს მიერ განვლილი გზა მეცნიერებაში.

## პოეტური ნიჭის აფეთქება

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში თქვენს ყურადღებას მიიქცევს რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანი“**,რომელიც შიგ და გარეთ გაუფორმებიათ ისე,როგორც ეროვნულ განძს ეკუთვნის, და საგანგებო თახჩაში მოუთავსებიათ.

ამ წიგნისადმი ინტერესი მისივე ასაკის ტოლია. უტარებია აქარიშხლებული სული საუკუნეების ქარტეხილებში. უტარებია გამარჯვებიდან გამარჯვებამდე და ჩვენამდე მოუღწევია, როგორც მარადიულობის სიმბოლო. მსოფლიო აამეტყველა და როცა სიცოცხლე აქცია მარადიულობად დედაენასთან ერთად შეუსისხლხორცდა ერის სულს.

გმირობისა და სიყვარულის დიდი საგალობელი საკაცობრიო საგალობლად იქცა. ამ გარემოებას წყალობად ექცა ე. წ. არასაანბანო ენები,რომლებიც ჩქერალებივით მოქშუიან დიდ მდინარედ ქცევის მოლოდინში.

კოლხმა რაინდებმა გაითავისეს შოთას პოემა, ტარიელის ამბავი საკუთარ ამბად აქციეს და ვეფხვის ტყავი გამარჯვების სიმბოლოდ გაიხედეს. **„ქართულ პოეზიას მაღალ საფეხურს მხოლოდ რუსთაველის სახელი უნარჩუნებს“** (აკ. გაწერელია, **„ქართული კლასიკური ლექსი“**).

ვინ მოთვლის, მერამდენედ იბადება კითხვა, არის თუ არა ქართული ენა მეგრული? და თუ არა, მაშინ უნდა ჩავთვალოთ არასაანბანო კავკასიური ენები დამოუკიდებელ ენებად? საკითხი თითქოს გადაწყვეტილია, მაგრამ არცაა. ჩვენ აქ სულკურთხეულ რუსთაველს გავიხსენებთ და ჩემი თავლსაზრისიც ეს იქნება: ვინც კავკასიურ მცირე ერებს დამოუკიდებელ ენობრივ ფენომენად თვლის, **„ცუდია და ცუდად ცთების“**.

აბელ ფეტელავას **„ვეფხისტყაოსანი“** ბავშვობიდან იტაცებდა და საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, პოემა თითქმის ზეპირად იცოდა,დამერწმუნეთ, რომ აქა-იქ თუ საჭიროებდა დახმარებას. წერდა მშვენიერ ლექსებს,პოეტურად მომხიბლავსა და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, მეტ შემთხვევაში უნაკლოს. ერთჯერ გამიმხილა, **„ვეფხისტყაოსანი“** უნდა ვთარგმნო მეგრულადო. მე სხვა დროსაც მიფიქრია ამ საგანზე და დაეჭვებით მივუგე,მაგ საქმისათვის მარტვილის მეგრული საკმარისი არ არის, საჭიროა იცოდე სენაკის, ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გალის, ოჩამჩირის და საერთოდ აფხაზეთის სამეტყველო მეგრული-მეთქი. გულდასმით მომისმინა, მერე გულიანად გაიცინა, გამოსავალი ვიპოვეო; ვთხოვ ხელისუფლებას, ერთი საპყრობილე ამიგოს და პატიმრების შემადგენლობა ქე იცი და ის არისო. გავიცინეთ. მალე ბატონი აბელი გაზეთის რედაქციაში გადაიყვანეს, სადაც სულ წუწუნებდა, მცირე ხელფასი მაქვსო და რედაქტორთან შეთანხმების გარეშე სამუშაოდ გადავიდა ხილის დამზადების კანტორაში, სადაც დაიჭირეს, გაასამართლეს და შვიდი წელი პატიმრობა მიუსაჯეს. ეგებ არ მერწმუნოთ, იმ დღესვე შეუდგა შოთას პოემის თარგმნას. ერთი წელი ლექსიკონს ადგენდა. ჩვენს მიერ დასახელებული მეგრელები ჩაებნენ მუშაობაში, 6 თუ 7 წლის დაუღალავი შრომის შემდეგ პატიმრობაც დამთავრდა და თარგმანიც.

ამჟამად მუზეუმში დაცულია სულ მეგრული თარგმანის ექვსი ტექსტი სრულიცა და არასრულიც. აი ისინიც:

1. **კაკა ჟვანიას,** სრული, ბეჭდური.
2. **გედეონ შანავას,** სრული, ბეჭდური.
3. **აბელ ფეტელავას,** სრული, ხელნაწერი.
4. **სერგო უბირიას,** არასრული, ხელნაწერი.
5. **ჰამლეტ ნადარაიას,** არასრული, ხელნაწერი.
6. **კალე სამუშიას**, მხოლოდ ცნობა, რომ უთარგმნია.

ნიჭიერი კაცი იყო **აბელ ფატელავა** და ასეთად დარჩა. ოღონდ ის არის, რომ მძიმე ავადმყოფი საწოლს არის მიჯაჭვული. საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას.

ჩვენი ინტელიგენციის იმედი გვაქვს.

**ამ გვერდისათვის**
**მასალები მოგვაწოდა**
**პეტრე კირთაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის უმღეროდა ზურაბ ანჯაფარიძე უკაცრიელ ზღვაში

შავი ზღვა პირველად ქობულეთის პლაჟიდან დავინახე. ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი – ბავშვობა და ყრმობა, რაც დასვენების დღეებთან თუ თვეებთან იყო დაკავშირებული, იქ გავატარე. ბევრი გავიცანი, ახალგაზრდობაში – ბევრი ახალგაზრდა, მაგრამ მეხსიერებაში ერთი პიროვნება განსაკუთრებულად შემომრჩა. მისი მოგონება დღესაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მეგობრობას ვერ ვიტყვი, მაგრამ ყოველი ჩვენი შეხვედრა ძალზე საინტერესო მოგონებებით იწყებოდა. იუმორით აღსავსე, ჯანსაღი აზროვნებისა და ჯანსაღი სხეულის პატრონი გახლდათ.

1951 წლის ზაფხულში ხუთი სტუდენტი საგზურებით **„შეიარაღებულნი“** ქობულეთში გავემგზავრეთ. საგზური 24-დღიან დასვენებას ითვალისწინებდა ე. წ. ვეცესპესის სანატორიუმში. კარგი მომსახურების, კვებისა და გართობის შემთხვევაში, ვადის გაგრძელების შანსიც არსებობდა. ერთ ოთახში ხუთი საწოლი დავიკავეთ. სწორედ ის იყო, რაც ჩვენ გვინდოდა, რადგან უწესრიგო და, ცოტა არ იყოს, ხმაურიანიც ვიყავით. დილით ბუნებრივი გაღვიძება არ არსებობდა – თავში რაღაც უნდა მოგვხვედროდა ან ყვირილს უნდა გავეღვიძებინეთ. გვერდით ოთახში ორი საწოლი იდგა, სადაც სანატორიუმის **„კულტმუშაკები“** იყვნენ. ამ ოთახთან საერთო შესასვლელი და აივანი გვაკავშირებდა. ჩვენი მეზობლები ფეხბურთის თამაშის დროს გავიცანით. ერთი გახლდათ თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, გივი ტორონჯაძე, ხოლო მეორე – ამავე კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი ზურაბ ანჯაფარიძე.

არც მუსიკათმცოდნე და არც ხელოვნებათმცოდნე ვარ. ამ პატარა პუბლიკაციის მიზანია დიდი მომღერლის, დიდბუნებოვანი ჭეშმარიტი ქართველი კაცის ბიჭობისა და ვაჟკაცობის პერიოდი გავიხსენო. შეძლებისდაგვარად, რაც ჩემი თვალით მინახავს და პირადად მომისმენია.

ერთ დღეს დამიმარტოხელა, ხელი გადამხვია და ხუმრობანარევი ტონით მკითხა: **„ერთი გამაგებინე, შენი ამხანაგები ცოტა შერეკილები ხომ არ არიანო“?** გამეცინა, დავეთანხმე და დავუმატე: **„მე მგონი, – მეც“! „არა, შენ არა, ერთს ხმაზე ვცნობ, ყველაზე მეტს ის ყვირის, ეტყობა, ბავშვობაში თავი აქვს რაღაცაზე მირტყმულიო“.** საუბრისას ძალიან ბევრი საერთო ნაცნობი გამოგვიჩნდა. მათ შორის ჩემი სკოლის მეგობრებიც იყვნენ. ერთი სიტყვით, შინაგანაწესის დამრღვევნი გამოვასწორეთ. ჩვენი ურთიერთობა გამყარდა. სურათის გადაღების დროს წამოწვა და თავი ჩემს მუხლებზე დადო. ეს ფოტო ჩემი ალბომის მშვენებაა. დამეთანხმებით, ზღვაზე დასვენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ცურვაა; ეს ის დროა, როდესაც ჩემი მეგობარი კაკო მშვენიერაძე მოსკოვის **„დინამოს“** წყალბურთელთა გუნდის კაპიტანია და, ბუნებრივია, მის მერე ვისი ცურვა უნდა გამკვირვებოდა.

კარგი ამინდია, ზღვაში შევედით და ნაპირს კარგა მანძილით მოვცილდით, ვკითხე:

**„ზურა, თურქეთში ხომ არ მივდივართ?“**
**„არა, აქეთ რუმინეთია“,** – მიპასუხა.

ეს მორიგ ხუმრობად ჩავთვალე და ცოტა ხნით ზურგზე დავწექი. გადმოვტრიალდი თუ არა, მინდოდა, მეთხოვა, ნაპირზე დავბრუნებულიყავით, მაგრამ ამაოდ, ზურაბი არ ჩანდა. ვიფიქრე, ჩემს შესაშინებლად ხომ არ ჩაყვინთა-მეთქი. ერთი ორჯერ მთელი ძალით ვიყვირე... შევშინდი, ცოტა ხანს შევყოვნდი, მერე ძალა მოვიკრიბე და ნაპირისაკენ გავცურე. დავიბენი, რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. პირველ ყოვლისა, ფეხზე რომ დავდექი, თვალები დავაცეცე და შევეცადე ძალიან შორს, ჰორიზონტზე გამეხედა. რაღაც წერტილი კი შევნიშნე, მაგრამ თვალებს არ დავუჯერე. ის იყო განგაში უნდა ამეტეხა, რომ პლაჟზე ჩვენი სანატორიუმის ორი მოსკოველი ქალბატონი შევნიშნე, ერთს ბინოკლი ეჭირა და მეორეს რაღაცაზე მიუთითებდა. მივვარდი, ბინოკლი არ მითხოვია, ინტუიციით რაღაცა სასიკეთოს მივხვდი, შევეკითხე, რას უყურებთ-მეთქი. ერთმა მათგანმა ძალიან მშვიდად მიპასუხა: **„ნაშ კულტრაბოტნიკ ოჩენ დალეკო პლავაეტ“.**

რა ჯობია კარგ ამინდში ზღვის პირას ორი ლამაზი ქალის გვერდით წოლას! ფრიად სასიამოვნო საუბარი გაიმართა. საუბრის თემა შუა ზღვაში მყოფი **„კულტრაბოტნიკი“** გახლდათ. როგორც გაირკვა, ერთ მათგანს ზურა მოსწონდა, ხოლო მეორე თავის დაქალს თანაუგრძნობდა. სადილის დრო მოახლოვდა, ქალები პლაჟიდან წავიდნენ. ბინოკლი დამიტოვეს „კულტრაბოტნიკს“ უთვალთვალეთო. ბევრი ვეძებე და, როგორც იქნა, ჰორიზონტზე, სადღაც შორს აღმოვაჩინე მოძრავი წერტილი, რომელიც თანდათან გამოიკვეთა. მოგვიანებით ნაპირს მიუახლოვდა. აშკარად ზურაბი იყო, მაგრამ მიმართულება შეეცვალა, დინებას მიჰყვებოდა. მეზობელი დასასვენებელი სახლის პლაჟზე გამოვიდა. შევეგებე და ვკითხე, რა ხდება რუმინეთში, როგორ არიანმეთქი, – არა უშავთ, მოგიკითხესო.

სასადილოში ბინოკლის პატრონები დაგვხვდნენ. შევთანხმდით და მეორე დღეს ზურაბმა მაშველებს ნავი სთხოვა და ამ ქალბატონებთან ერთად გზას გავუდექით. ხუმრობა-ხუმრობაში ღრმად შევცურეთ; ნაპირისკენ მხოლოდ მთები ჩანდა. შევჩერდით, აი, აქ ვიყავიო, იხუმრა ზურაბმა და წყალში გადაეშვა. მეც მივყევი, ქალებმაც არ დააყოვნეს. კარგა ხანს გავერთეთ. ნავზე პირველი ზურაბი ავიდა, დადგა ფეხზე და ცნობილი იტალიელი მომღერლის ცნობილი სიმღერა შეასრულა. არ დამავიწყდება მოსკოველი ქალების გაოცებული თვალები. შუა ზღვა, ნავი, ნავზე შემდგარი მომღერალი – 23 წლის ზურაბ ანჯაფარიძე და სამი მსმენელი.

მეორე დღეს **„კულტრაბოტნიკების“** – გივი ტორონჯაძისა (შემდგომში ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორი გახლდათ) და ზურაბ ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით კონცერტი იყო დაგეგმილი. ამ დროს სანატორიუმში დასასვენებლად ჩამოსული გახლდათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი შოთა კიკნაძე. ზურაბმა მონაწილეობის მიღება სთხოვა. შოთამ უთხრა – **„მე აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული, შენ იმღერეო“. „მე არავინ არ ვარ, შენ ოპერის სოლისტი ხარ, რომ გამოვაცხადებ, საქმეში ჩამეთვლებაო,“** – სთხოვა ზურაბმა.

კონცერტი დამსვენებლებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით ჩატარდა. ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა ზურაბს.

მიიწურა დასვენების დღეებიც. შეხვედრები უკვე გაიშვიათდა. თბილისში ჭირში ან ლხინში თუ ვხვდებოდით ერთმანეთს. მოსკოვში, დიდ თეატრში მოღვაწეობის დროს, ზურაბმა ბევრი საინტერესო ადამიანი გამაცნო. ბოლო ხანს ბათუმში უყვარდა დასვენება. მეც იქ ვიყავი და მოვინახულე. იმ დროს ავტომანქანების გაქანებული ქურდობა იყო; ვიღაცას ზურაბის მანქანის საქარე მინაზე მიუწერია: **„არ მოიპაროთ, ზურაბ ანჯაფარიძის ავტომობილია“!** მეც ამით მივაგენი.

**ჟანი სიხარულიძე**

# ამბები კახეთიდან – მოვიდა მიშა და დახვდა ქვა

**კახელს ეტყვიან, ქვევრში რომ ჩასძახებ და რომ ამოგძახებს, მაგას ექო ქვიაო. მეზობლის მარანში გადავა და ცარიელ ქვევრს ჩასძახებს: „შენი დედაო...!“, ისიც ამოსძახებს: „შენი დედაო...!“, კახელი ჩასძახებს: „შენი კარგები, შენი კეთილებიო...!“, ისიც იმავეს ამოსძახებს. მერე კახელი ჩასძახებს: „ეხო ხარო?“, „ეხო კი არა, მიხო ვარ და, თუ ამოვედი, მართლა დედას გიტირებო!“ – ამოსძახებს მეზობელი.**

ხალხში ექოსავით გაისმა, წელს კახეთში რთველი კარგად ჩაივლის, ქარხნები ძვირად ჩაიბარებენ ყურძენს და სოფელიც აშენდებაო.

ხალხმაც ამოისუნთქა, გაუხარდათ, შრომა გვიფასდებაო, დაავიწყდათ, რომ ისევ საქართველოში ცხოვრობენ და პრეზიდენტი ისევ მიშა (მიხო) რომაა და დაიწყეს გამალებით საქმიანობა.

ახლახან კი ინფორმაცია გავრცელდა, რომ ქარხნებს ჯერ კიდევ შარშანდელი და წინა წლების ჩაბარებული ყურძნის ფული აქვთ გლეხებისთვის გადასახდელიო. 2005, 2007 და 2008 წლების დავალიანების დაფარვას ათობით მევენახე ითხოვს, თუმცა სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ამ ინფორმაციას და დავალიანების არსებობას კატეგორიულად უარყოფს.

ერთი რამე გამკვირვებია – ამ გლეხებსაც რით ველარ მობეზრდათ მიხოსავით ჭურში (ამ შემთხვევაში ქვევრში) ჯდომა და იქიდან თავისი მეზობლების გინება?

ესენი ამ წლის ფულის გადამხდელები არიან, თუ წინა წლების ვალი ვერ (ან არ) გადაუხდიათ?

**რით ველარ დარწმუნდნენ, რომ მაგათი მთავარი პრობლემა ექო კი არა მიხოა (სეტყვა და ამინდი კი არა, მიშა და მისი ძალად ეკონომიკური პროგრამაა), რომელმაც ღვინის ბაზარი მოსპო და ამდენი გლეხი ულუკმაპუროდ დატოვა?**

გლეხები ამბობენ, რომ ახალი პრობლემა უკვე შეიქმნა – ჰიბრიდულ ყურძენს არც ერთი ღვინის ქარხანა არ იბარებს, ხოლო, კვეზერელის მტკიცებით, ასეთი ტიპის ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება, თუმცა ვერ ამბობს, რომელი ქარხანა მიიღებს ჰიბრიდულ ყურძენს.

არადა, მარტო გურჯაანის რაონში წელს სამი ათას ტონამდე ჰიბრიდული ჯიშის ყურძნის მოსავალს მოიწიეს.

ამ ხალხს ვინ დააკმაყოფილებს: ექო თუ მიხო?

ან რა წესია, რომ ჰიბრიდული ჯიშის ყურძენზე სახელმწიფო სუბსიდიას არ გასცემს?

შეგახსენებთ, რომ ამ სახელმწიფოს და მის ხელისუფლებას, ძირითადად, სწორედ ჰიბრიდული ჯიშის ადამიანები და მუტანტები წარმოადგენენ, ხოლო მათი ქვეშევრდომები იმ მართლა ცარიელი ჭურებივით არიან, რასაც ჩასძახებ, მხოლოდ იმის რომ ამოგძახებს.

# უდროოდ დაბრუნებულებისა იყოს

## (ანუ წასვლა სჯობს წარმავალისა)

***ამბობენ, ყველა მამაკაცის ცხოვრება სამ ნაწილად იყოფაო: პირველი – როცა დედა ეკითხება ხოლმე: სად მიდიხარ, ბიჭო? მეორე – როცა ცოლი უსვამს შეკითხვას: სად მიდიხარ, ბიჭო? და მესამე – როცა გარშემო ქალები უსხედან და გაჰკივიან: სად მიდიხარ, ბიჭოოოოოო?!***

არ ვიცი, ჩვენი ხელისუფლება რომელ ეტაპს გადის, მაგრამ ამ ბოლო დროის (მტრისთვის იყოს ბოლო, მაგრამ მაინც) განმავლობაში ისე გაიფანტნენ აქეთ-იქით, პატრონი რომ ჰყავდეთ, აუცილებლად ჰკითხავდა: **სად მიდიხართ, ბიჭოო?**

საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი აშშ-ში გაემგზავრა**, სადაც აშშ პროფკავშირების კონგრესს უნდა დაესწროს.

ამ ვიზიტის აზრს ვერც მე ვხედავ და, მგონი, ვერც თვითონ პეტრიაშვილი – **აქ არაფერს აკეთებს, იქ რა უნდა გააკეთოს?!**

ცოტა ხანში **აშშ-ში,** ასევე, **გაემგზავრა მიხეილ სააკაშვილი,** გაეროს ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად (ან ამისგან რა ხეირი, გარდა თურქმენეთის პრეზიდენტთან შეხვედრისა?).

**აშშ-ში მას გიორგი ბარამიძე დახვდა,** რომელიც მანამდე გაემგზავრა იქ და რა უნდოდა, წესიერად თვითონაც არ იცოდა.

**ასევე აშშ-ში იმყოფებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე,** თანაც სამუშაო ვიზიტით.

ჩემი მოკლე ჭკუით, როგორც ვატყობ, საქმე მთლად კარგად არ უნდა მიდიოდეს – მგონი, გასაპარად ნელ-ნელა ნიადაგს იმზადებენ და, თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში საქართველოში მარტო ზურაბ პოლოლიკაშვილი და შალვა ნათელაშვილი დარჩებიან!

შალვა იმიტომ, რომ მგზავრობის ფული არ აქვს, ხოლო პოლოლიკაშვილი იმდენად შავია, რომ აშშ ვიზას არ ჩაურტყამენ და საზღვარზეც არ გადაუშვებენ – შენ რომელიღაც ბანანის რესპუბლიკიდან ხარ (არც ეს იქნება მთლად სიცრუე) და ჩვენ ჩვენი **“ბანანელებიც”** გვეყოფაო...

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ **გრიგოლ ვაშაძე**, რომელიც, წესით, მაშინ, როცა მთელი მთავრობა თავის პრეზიდენტიანად აშშ-ში იმყოფებოდა, იქ უნდა ყოფილიყო, სააკაშვილს, ასე ვთქვათ, როგორც ქვეყნის მთავარი დიპლომატი თან უნდა ხლებოდა, მით უმეტეს, როცა საქმე გაეროს ტრიბუნას ეხებოდა. საგარეო საკითხებს ხომ მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა აგვარებდეს. ვაშაძე კი **აზერბაიჯანში გაამგზავრეს** სამუშაო ვიზიტით.

ერთი მეზობელი მყავდა, ცოლ-შვილი დასასვენებლად გაუშვა ბულგარეთში თვითმფრინავით. ისე შეაწუხეს ოჯახის წევრებს, თვითმფრინავი რომ აფრინდა, მთელი ხმით მიაძახა – წადი და ჩამოვარდი, შენი დედაცო!

თვითმფრინავის ჩამოვარდნის რა მოგახსენოთ, მაგრამ მეც და, დარწმუნებული ვარ, თქვენც, გულით გინდათ, რომ შევუთვალოთ – ერთხელაც წადით და უკან არათუ აღარ დაბრუნდეთ, აღარც მოიხედოთ, აქ არავინ არა გრჩებათ! წადით, ჯანდაბამდე გზა გქონიათ, იმის იქითაც წასულხართო!

**P. S. წასულებზე გაჩერება არ შეიძლება, ამიტომ ბევრს აღარ გავაგრძელებ, უბრალოდ გეტყვით, რომ ამათი დაბრუნების შემდეგ ქართველები ახალ სადღეგრძელოს შემოიღებენ – უდროოდ დაბრუნებულებს გაუმარჯოთო!**

ამბები კახეთიდან მოგვაწოდა
ლექსო ლეკიაშვილმა

# ათი ლეგენდარული მატჩი
## როსის დროული დაბრუნება

**1982 წლის 5 ივლისი**
**"სარიას" სტადიონი, ბარსელონა.**
**მეოთხედფინალი**
**იტალია-ბრაზილია 3:2 (2:1);**
გოლები – **როსი 5, 25, 75, სოკრატესი 12, ფალკაო 68.**
44 ათასი მაყურებელი
მსაჯი – **კლეინი (ისრაელი).**

**იტალია:** ძოფი, ჯენტილე, კოლოვატი (ბერგომი), შირეა, კაბრინი, ტარდელი (მარინი), ანტონიონი, ორიალი, გრაციანი, კონტი, როსი.

**ბრაზილია:** ვალდირ პერესი, ლეანდრო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, ტონინო, სერეზო, სოკრატესი, ზიკო, ფალკაო, სერჟინიო (პაულო ისიდორი), ედერი.

1982 წლის 29 აპრილს პაოლო როსი დაუბრუნდა დიდ ფეხბურთს, მას შემდეგ, რაც იგი დაადანაშაულეს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის სკანდალურ გარიგებაში და მიენიჭა 3-წლიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც მოგვიანებით 2 წლამდე შეუმცირეს.

ნაკრებში დაბრუნების შემდეგ როსი იტალიის ეროვნულ გმირად იქცა. მეოთხედფინალურ მატჩში მან სამი გოლი გაუტანა ბრაზილიელებს, შემდეგ ორი გოლი გაიტანა პოლონელთა კარში, რისი წყალობითაც იტალიის ნაკრები ფინალში გავიდა, სადაც იგი გერმანიის ძლიერ გუნდს შეხვდა.

პირველი გოლი გერმანელთა კარში სწორედ პაოლო როსიმ გაიტანა, რომლის შემდეგ იტალიელებმა მატჩი საბოლოო წარმატებამდე მიიყვანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. იტალიის ნაკრები მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ამ ჩემპიონატში პაოლო როსიმ გაიტანა 6 გოლი და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იგი ნამდვილი აღმოჩენა იყო – 24 წლის ასაკში, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოხდილი დისკვალიფიკაციის ვადა, **"იუვენტუსმა"** **"პერუჯადან"** გადმოიბირა 600.000 ფუნტ სტერლინგად. სწორედ მისი დამსახურება გახლდათ ის, რომ იტალიის ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა, რადგან იტალიელებმა იმდენად სუსტად დაიწყეს ჩემპიონატი, რომ ეჭვის ქვეშ დგებოდა მისი ქვეჯგუფიდან ფინალურ ასპარეზობებში გასვლის შესაძლებლობაც კი.

დრამატული იყო იტალიელების ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრა, რადგან ამ უკანასკნელებს ქვეჯგუფიდან გასასვლელად ფრეც კი ჰყოფნიდათ, მაგრამ ის დღე პაოლო როსის ზეობის ჟამად იქცა, რომელმაც სამი ბურთი გაუტანა ბრაზილიელებს და ქვეჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი იმედი მოუსპო.

1982 წლის ჩემპიონატზე იტალიელებს ჩემპიონობა სწორედ პაოლო როსის უბადლო თამაშმა მოუტანა.

### გერმანელებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს

**1982 წლის 8 ივლისი**
**"სანჩეს-პასხუანის" სტადიონი, სევილია**
მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი.
**გფრ-საფრანგეთი** 3:3 (დამატებითი დრო).
გოლები: ლიტბარსკი 18, რუმენიგე 102, ფიშერი 107, პლატინი 27, ტრეზორი 92, ჟირესი 98. გერმანელებმა გაიმარჯვეს პენალტების სერიაში.
63 ათასი მაყურებელი.
მსაჯი კორვერი (ჰოლანდია).

**გფრ** – შუმახერი, კალტცი, კ.ფიორსტერი, შტილიკე, ბრიგელი (რუმენიგე), ბ.ფიორსტერი, დრემლერი, ბრაიტნერი, ლიტბარსკი, მაგათი (ჰრუბეში), ფიშერი.

**საფრანგეთი** – ეტორი, ამორო, ჟანვიონი, ბოსი, ტიგანა, ტრეზორი, ჟენგინი, (ბატისტონი, ლოპესი), ჟირესი, პლატინი, როშტო, სიქსი.

პირველად მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში მატჩის ბედი გადაწყდა პენალტების სერიით, რომელშიც გერმანელებმა ფრანგები დაამარცხეს ანგარიშით 5:4.

თამაში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა, რადგან შუმახერის უხეშმა საქციელმა ფრანგი ფეხბურთელი ბატისტონი დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან. ფეხბურთელი ძლივს გამოიყვანეს შოკიდან. ტრიბუნები გააოგნა მსაჯის მიკერძოებამ, რომელმაც შუმახერს ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენა, რომელიც, შეგნებული უხეშობის გამო, აშკარად იმსახურებდა მოედნიდან გაძევებას. ფრანგები მალე მოეგნენ გონს და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი თამაშის ბედს თავიანთ სასარგებლოდ შემოაბრუნებდნენ. მატჩის დასარულს უახლოვდებოდა და გერმანელები მას აგებდნენ ანგარიშით 1:3. ამ დროს გერმანელებმა მოედანზე სიცხიანი რუმენიგე შემოიყვანეს, რომელმაც ორიოდ წუთში გაიტანა გოლი. შემდეგ კი ფიშერმა იმარჯვა და მატჩის ანგარიში გაათანაბრა. ეს დაუჯერებელი ამბავი გახლდათ, რამაც დიდი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ფეხბურთელებზე.

დაინიშნა პენალტების სერია. აშკარად ჩანდა, რომ ამ მოულოდნელი შედეგით ფრანგები აშკარად დათრგუნულები ჩანდნენ, რამაც გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე. ჯერ ფრანგები დაწინაურდნენ, მაგრამ გერმანულმა ცივსისხლიანობამ **"ნიბელუნგებს"** სასურველი შედეგი მოუტანა და გერმანელებმა მოიგეს მატჩი. თუმცა, როგორც ჩანს, უზენაესი თავისებურად სჯიდა – გერმანელებმა ფინალი მაინც წააგეს იტალიელებთან და ისევე გულნატკენებმა დასტოვეს მოედანი, როგორც რამდენიმე დღის წინ – ფრანგებმა.

**გიორგი ჯალაღანია**




## იუმორი

რაჭველი ძმაკაცებთან ერთად ლუდის ბარში უზის სუფრას. უცებ ერთი მათგანი წამოდგა და ხმამაღლა გამოაცხადა:

– ვინც ათ კათხა ლუდს დალევს, 500 დოლარს ვაჩუქებ!

ყველა გაისუსა – კათხა ძალიან დიდია. მხოლოდ რაჭველი წამოდგა და ჩუმად გავიდა ბარიდან. ცოტა ხანში შემოვიდა და იკითხა – ნიძლავი ძალაშია?

– ძალაშია! – უთხრეს მას და წინ ლუდით სავსე ათი სავსე კათხა დაუდგეს.

რაჭველმა სულმოუთქმელად დალია ათივე კათხა და ფული მოიგო. ამხანაგები ეკითხებიან:

– თუ დალევა შეგეძლო, სად გაიპარე?

– სიმონიკას დუქანში გადავედი და თავი გამოვცადე, შევძლებდი თუ არა დალევას!

ქალაქის ცენტრში ძვირფასი რესტორანი გაიხსნა. აღშფოთებულმა კლიენტმა ოფიციანტი გამოიძახა. მოვიდა კოხტად გამოწყობილი, შერსანიშნავი გარეგნობისა და მანერების მქონე ოფიციანტი.

– აიღეთ ეს ზუთხი და თქვენს შეფ-მზარეულს უკან გაუკეთეთ!

– ჩვენთან კლიენტის სურვილი უზენაესი კანონია, მაგრამ ამას ვერ მოვახერხებთ, რადგან მას უკვე უკან გაუკეთეს ქათამი სოუსში "ზღაპრულად", სალათი "სიზმარი" და ტორტი "ფანტაზია".

## სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

- **სიცილი** – ტირილისა და მწუხარების ნიშანია;
- **სიარული ფეხსაცმლით** – კარგია;
- **სიარული ფეხშიშველად** – ცუდია;
- **საყდარი ააშენო ან ილოცო** – კარგია, შემატებაა;
- **ტანისამოსის დაკარგვა** – ქვეყნის შერცხვენაა;
- **ტანისამოსის ჩაცმა** – კარგია და ბედნიერებაა;
- **ტიტველი შენი თავი ან სხვა ნახო** – ცუდი ნიშანია;
- **ტყემალი ნახო, ან დაკრიფო** – კარგია, ჭამა კი ცუდი;
- **ტყვედ ჩავარდნა** – ცუდია, მწუხარება შეიმატო;
- **ტალახში სიარული** – მწუხარებისა და ვაგლახის ნიშანია;
- **ტირიფი** – კარგია და სიხარულის ნიშანია;
- **ტკბილი რამე ჭამო ან დალიო** – მწუხარების ნიშანია.


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.geworld.net
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი info@geworld.net

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
**"საქართველო და მსოფლიო"!**






მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან
გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

ბაზნიძის პრეპარატი არჩენს

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმლების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, ჩვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

კოორდინატები:

თელავი, კაკაბასიონის ქუჩა №61-ბ,
ბაზნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, აწყურის 31-ა (მეტრო "ისანთან")
ბათუმი, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).






| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე | რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930 | მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია<br>მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია<br>ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი | anaklia@web.de<br>e-mail:elisabetthal@yahoo.de<br>რეკლამის განთავსება<br>899-57-33-22<br>72-37-35<br>38-41-97 |